# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 86 (630) | ოთხშაბათი, 28 აპრილი, 1993 წელი | ფასი 6 მანეთი

## [illegible] შეიტყვეთ

### ცნობები აფხაზეთიდან

გუდაუთის ფრონტის ხელისუფალთა, შეიარაღებული ფორმირებების ოპერატიული მონაცემებით, 26 აპრილისათვის გუმისთის ფრონტზე მიმდინარეობდა ორმხრივი სროლა ავტომატური იარაღისა და ქვემეხების გამოყენებით. ქართველთა მხარემ ცეცხლი გაუხსნა გუდაუთის შეიარაღებული ძალების პოზიციებს და დასახლებულ პუნქტებს ეშერასა და შინწყვარას. გუშინ 13.00 საათისთვის, შინწყვარას მიმართ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით ცეცხლი გახსნა ქართული მხარის თვითმფრინავმა. ამავე დროს, იყო მცდელობა ქართველთა მხარის სუ-25 ტიპის თვითმფრინავის მხრიდან შეჭრილიყო აფხაზთა მხარის თავდაცვის სისტემაში გუდაუთის მიმართულებით. დაკავებულ იქნა თვითმავალი ბარჟა, რომელსაც სოხუმიდან გაჰქონდა კვების პროდუქტები და ნაძარცვი. მიმდინარეობს ძიება.

ოჩამჩირის რაიონში შედარებით სიმშვიდე იყო. ღამით მოწინააღმდეგემ ცეცხლი გაუხსნა ლაბრას, ფოქვეშს, ბესლახუბას და ატარას, დღეს დილიდან მიმდინარეობს ორმხრივი სროლები ტყვიამფრქვევების გამოყენებით.

ეს რედაქციას აცნობეს „იბერიის" კორესპონდენტებმა.

●

### ვაჟა ადამიას აზრით

მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ „იბერიის" კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ რაიონებში გამგებლების მიერ სამობილიზაციო მზადყოფნასთან დაკავშირებით, შექმნილი 100-150 კაციანი შეიარაღებული ჯგუფები, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მათი შექმნა ეწინააღმდეგება საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომელშიც ნათქვამია, რომ თანამდებობის პირს არა აქვს უფლება ჰყოლოს შეიარაღებული ჯგუფი.

„იბერიის" კორესპონდენტის კითხვაზე, თუ სად იმყოფებიან ახლა სამაჩაბლოში მებრძოლი კოსტავას საზოგადოების წევრები, ვაჟა ადამიამ განაცხადა, რომ ისინი გაერთიანებულნი არიან თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ სტრუქტურებში და მათ შეჩერებული აქვთ საზოგადოების წევრობა. ეს მებრძოლები ამჟამად იმყოფებიან აფხაზეთში, სხვადასხვა საბრძოლო პოზიციებზე.

●

### მინისტრი უკმაყოფილოა

საქართველოს შსს მინისტრმა თ. ხაჩიშვილმა „იბერიის" კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ მიმდინარეობს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, რომელსაც სამართალდამცავ ორგანოებში აქვს ფესვები გადგმული. მინისტრმა აღნიშნა, რომ ბრძოლა დღევანდელ პირობებში, როდესაც პოლიციის წარმომადგენლებს ძალზე დაბალი ხელფასები აქვთ, ძნელია. მან უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც ხშირად რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მძიმე დანაშაულს სჩადიან.

იბერია.

## ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

### ფაქტი მოვლენა კომენტარი

# მხარში დავუდგეთ სამართალდამცავ ორგანოებს

### 25 აპრილს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების აქტივის კრება

**რესპუბლიკაში შექმნილი სახიფათო კრიმინოგენული და ოპერატიული ვითარება, რომ კვლავ უწყვეტად რჩება და ქვეყნის ხელმძღვანელობის ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს, ეს 25 აპრილს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამართულმა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების აქტივის კრებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა. როგორი მუშაობა გასწიეს პირველ კვარტალში ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებისათვის სამართალდამცავმა ორგანოებმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — ეს იყო კრების მსჯელობის ძირითადი საკითხი. პრობლემის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მოხსენება მის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ გააკეთა (მოხსენების ტექსტს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.).**

**კამათმა და აზრთა გაზიარებამ, რომელიც მოჰყვა პრემიერის მოხსენებას, კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენს საზოგადოებრიობაში ფეხმოკიდებული უაღრესად საშიში დანაშაულებრივი ტენდენციები. მოძალებული ყაჩაღობა, მკვლელობა, ძარცვა ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა ქვეყანაში. ამას დაემატა ბოლო ხანს განსაკუთრებით გაძლიერებული, მაფიის დონემდე აყვანილი ნარკობიზნესი, რომელსაც არანაკლებ სავალალო შედეგები მოჰყვება, ვიდრე ომით მოყენებული მატერიალური თუ მორალური ზარალია. ყოველივე ამის გაცნობიერებით გამოწვეული შეშფოთება იგრძნობოდა ყოველი გამომსვლელის, კრების ყველა მონაწილის განწყობილებაში.**

**— საქმე იქამდე მივიდა, რომ ნარკომანებმა საავადმყოფოებს მიაშურეს ნარკოტიკების გამოძალვის მიზნით, — თქვა ქალაქ თბილისის მერმა კოტე გაბაშვილმა, — უამრავი ძალადობის ფაქტის მოწმენი ვართ და ამიტომ, მართალია, ძნელი საქმეა, მაგრამ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ იზოლირებული სამხედრო ჰოსპიტალის ორგანიზებისათვის, უნდა გავაძლიეროთ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების დაცვა.**

**ქალაქის მერის მიერ წამოყენებული იდეა რომ მართლაც დროული და მწვავე რეალობით ნაკარნახევია, შინაგან საქმეთა მინისტრის თემურ ხაჩიშვილის მიერ დამოწმებულმა შემზარავმა ფაქტებმაც დაადასტურა. მინისტრმა ერთხელ კიდევ გაიხსენა სამხედრო ჰოსპიტალში აფხაზეთში დაჭრილ მეომარზე ნარკოტიკების გამოძალვის მიზნით თავდასხმისა და ფიზიკური ძალადობის, აგრეთვე ანალოგიური მცდელობისას პოლიციის თანამშრომლის სადისტური ცემის შემთხვევები. მკითხველიც დაგვეთანხმება, რომ ეს ფაქტები კომენტარს არა, მაგრამ სამართალდამცავებთან ერთად მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის თავდაუზოგავ და შეუპოვარ ბრძოლას მოითხოვს.**

**ნარკომანიის მომძლავრების მოსალოდნელ უბედურ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა. ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ ისაუბრა რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა ირაკლი ბათიაშვილმა. კრებას თავიანთი მოსაზრებები ამა თუ იმ დარგში მოსაგვარებელ საკითხებზე გაუზიარეს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა თედო ნინიძემ, რკინიგზის დეპარტამენტის უფროსმა რეზო ვაშაკიძემ, იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ. საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა, რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა ლია ცინდელიანმა, ქალაქ ქუთაისის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა, წყალტუბოს რაიონის გამგებელმა მირზა ქოქრაშვილმა, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა სამეგრელოს რეგიონში შალვა კიკილიამ.**

**აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.**

მან კვლავ კრიტიკულად შეაფასა რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა და მას კრიზისული უწოდა. ამაში ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს კი არ მიუძღვით ბრალი, — თქვა მან, — არამედ ეს ჩვენი საერთო სენია, რადგან ვერ ვახერხებთ ყველაფრის ერთ კომპლექსში მოგვარებას და გადაჭრას, ყველა რგოლში გვაკლია ეს კომპლექსური მიდგომა და მისი განუხორციელებლობის მიზეზი ომიანობაც არის, რომლის დაღიც აზის ჩვენს ყოფას ყველგან და ყველაფერში, — ხაზგასმით აღნიშნა მან. შეეხო რა საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას ქვეყნის ცხოვრებაში, ედუარდ შევარდნაძემ ამასთან დაკავშირებით ერთგვარი საყვედური გამოთქვა აქტივის კრების ორგანიზატორთა მისამართით, რომ სამხედროთა წარმომადგენლები, თავდაცვის სამინისტროს სახით არ მოიწვიეს ამ ღონისძიებაზე. — ჩვენი სამხედროები დღითიდღე იზრდებიან, მათი დღევანდელი შემართება, თავდადება ფრონტის წინა ხაზზე საყოველთაოდ არის აღსანიშნავი — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — და ისინი უნდა გრძნობდნენ, რომ ყურადღების ცენტრში არიან. არმია უნდა ხედავდეს და გრძნობდეს ხალხის ყურადღებას.

სახელმწიფოს მეთაურმა მკაცრად გააკრიტიკა სამართალდამცავი ორგანოები იმისათვის, რომ მაფიოზური კლანები და ჯგუფები, რომლებიც მომრავლდნენ, დიდ უბედურებას უქადიან ჩვენს ქვეყანას და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ორგანოები სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენენ. ეს ჯგუფები და კლანები გამოხრავენ ჩვენს ისედაც დაჩანაგებულ ქვეყანას, — აღნიშნა მან, — თუკი ვერ შევძელით მათი და ნამდვილი ბიზნესის განსხვავება. სახელმწიფოს მეთაურმა ერთგვარი შიში გამოთქვა იმის გამო, რომ ხელოვნური ბარიერები ექმნება ახლადგამოშვებული კუპონის მოქმედებას და ამას შესაბამისი ორგანოები და უწყებები სერიოზულ ყურადღებას არ უთმობენ.

— ჩვენ ძალიან ბევრი მეგობარი გვყავს მსოფლიოში, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — მათით ვსულდგმულობთ და მათით მოვაღწიეთ აქამდე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო მეგობრებით როდი ვართ გარშემორტყმული. იმპერია ფანქრით ნაწერი რამე კი არ არის, რომ საშლელი წაუსვა და ყველაფერი გაქრეს. არა, მისი წაშლა ძალიან ძნელია, იგი არა მარტო ხანგრძლივ კვალს ტოვებს შეგნებაში, არამედ კვლავაც ამოძრავებს გარკვეულ ძალებს, რომ როგორმე დაიბრუნონ და აღიდგინონ გავლენა. აი ასეთი იმპერიული იძულებით იბადება კონფლიქტები. ასე დაიბადა აფხაზეთის კონფლიქტი, რომელიც ათობით წლის მანძილზე მზადდებოდა და ხდებოდა სეპარატისტთა სტიმულირება.

ცხადია, ყველაფერი ჯერ არ დამთავრებულა და ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ. ამიტომ დღის წესრიგში დგება ძლიერი სადაზვერვო სამსახურის შექმნის საჭიროება, ოღონდ არა ძველი ყაიდის სამსახურისა, არამედ ახლისა, რომელიც დღევანდელობის მოთხოვნებს ფეხს აუწყობს. როგორც უნდა ეცადოს ვინმე, რომ რომელიმე უწყებასთან შექმნას და აღორძინოს ის ძველი სადაზვერვო სამსახურები, ისინი დროის მოთხოვნას მაინც ვერ გაუძლებენ, დრო მათ ამოყვეთს, არ დაუშვებს, — დასძინა მან და განაგრძო, რომ საქართველოში ახლა უძლიერესი რეზიდენტურა და აგენტურაა შემორჩენილი. საქართველო იმპერიულ ძალებს ყელში აქვს გაჩხერილი და მათთვის მუშაობენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ვერ უღალატეს თავიანთ ძველ ჩვეულებას, ძველ პატრონებს და კვლავაც განაგრძობენ დასმენას, ინფორმაციის მიწოდებას ძველი შეფებისათვის. მაგრამ როგორც უნდა ეცადონ ისინი, იმპერია მაინც ველარ აღდგება, — მე ამას შემთხვევით არ ვამბობ, მაქვს ამის საფუძველი. მოდით, სულს ნუ მივყიდით ნურავის, ჩვენი სული, ხორცი და ჩვენი არსება მხოლოდ საქართველოს ეკუთვნის, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

შემდეგ სახელმწიფოს მეთაური შეეხო საქართველოს ერთიანობის აუცილებლობას, რაც საფუძველს გამოაცლიდა ჩვენს არაკეთილმოსურნეთა ამგვარ მცდელობას. — ლოთი ქობალია ჩემში დიდ სიმპათიას იწვევს-მეთქი, რომ ვთქვა, ცხადია, არც თვითონ დამიჯერებს და არც თქვენ, — თქვა მან, — მაგრამ ნამდვილად ბავშვივით გავიხარე, რომ მან და სამეგრელოს რეგიონის ბიჭებმა ასეთი ნაბიჯი გადადგეს საქართველოს ერთიანობისათვის. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა მის პოლიტიკურ მრწამსს, თუკი იგი საქართველოსთვის ლოცულობს და ამ ხატით წავიდა იქ, მე მას მივესალმები, მაგრამ, თუკი ცუდი რამ უდევს გულში, მაშინ მას საქართველო არ აპატიებს. ჩვენ ახლა ძალიან გვჭირდება ერთობა და ერთიანობა, — გაიმეორა სახელმწიფოს მეთაურმა.

სახელმწიფოს მეთაურმა დიდი ყურადღება დაუთმო სამართალდამცავი ორგანოების მიერ იმ კანონების დაცვასა და შესრულებას, რომლებსაც დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში სტაბილიზაციის შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის. იგი შეეხო დადგენილებას უსანქციო მიტინგებისა და მსვლელობების შესახებ და სამართალდამცავ ორგანოებს მოუწოდა საყოველთაოდ დაიცვან იგი. იმ მიტინგებსა და მანიფესტაციებზე, რომლებიც სანქცირებული იქნება, ადამიანებს თუნდაც ხელიც რომ გაეკაწროთ, თქვენ აგებთ პასუხს, — განაცხადა მან, — მაგრამ ასევე პასუხს აგებთ უსანქციო მიტინგებზე მოსალოდნელი პროვოკაციებისათვისაც. ამიტომ საქმე აქამდე არ უნდა მივიყვანოთ, თქვა მან და ამის მაგალითად მოიყვანა ფოთში 24 აპრილს გამართული მიტინგი, რომელზეც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან შეიარაღებულმა ადამიანებმა სცადეს ჩასვლა, მაგრამ არ გამოუვიდათ. ახლა კვლავ ცდილობენ ვიღაცეები ააგორონ აქციების ტალღა, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — ისინი იმედს ამყარებენ, რომ აიყოლიებენ ხალხს, რომელსაც ძალიან უჭირს და ამით ხელისუფლებას დამატებით პრობლემებს შეუქმნიან. არადა, პრობლემები ისედაც გვყოფნის. ახლა ამერიკიდან 30 ათასი ტონა ნაჩუქარი ხორბალი რომ არ მიგვეღო, 5 დღის მარაგიღა გვქონდა დარჩენილი. მადლობა ღმერთს, მივიღეთ, სხვა გემებიც უკვე გზაშია. ახლახან 10 მილიონი ეკიუ კიდევ გამოგვიყო ევროგაერთიანებამ, ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი — ინგლისმა, 2 მილიონი დოლარი — იაპონიამ. გვეხმარებიან, მაგრამ მაინც გვიჭირს, და ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, რომ ეს დახმარებაც შეგვიწყდება, თუკი დესტაბილიზაციის ახალ ტალღას ააგორებენ და ამით ხალხს აგვიჯანყებენ, ამიტომ ამ ძალებს წინ უნდა აღვუდგეთ.

ახლა 26 მაისის დღეს აპირებენ ამ აქციათა დაწყებას. მაგრამ 26 მაისს მთელი საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო აღნიშნავს, ხელისუფლება აღნიშნავს ისე, როგორც პარლამენტი გადაწყვეტს და ყველა პატიოსანი მოქალაქეც იქ იქნება. მე მოხარული ვიქნებოდი, რომ ეს დღე დაბრუნების დღედ იქცეს, იმათთვის, რა თქმა უნდა, ვისაც დაბრუნების უფლება აქვს... მე მხედველობაში არა მყავს გამსახურდია, — თქვა მან.

თქვენ შეიარაღებული ხალხი ხართ, — მიმართა სახელმწიფოს მეთაურმა აქტივის კრების მონაწილეებს, — მაგრამ არა ავტომატებით (ავტომატები, ვიცი, გაქვთ), არამედ კანონებით და ამ კანონებით უნდა იმოქმედოთ. უნდა უკუვაგდოთ ჭორი და ცილისწამება, თითქოს ძველი სტრუქტურების აღდგენას ვაპირებთ, ძველ კადრებს ვაბრუნებთ და ახალ კადრებს არ ვზრდით. ახალი თაობა მოდის და მას გვერდში უნდა დავუდგეთ, გული რომ არ გაიტეხოს, მხარდაჭერა სჭირდება.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ პრესის შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ ახლა არის რამდენიმე გაზეთი, რომლებსაც დრო თვითონ უკუაგდებს, რადგან ისინი ტყუილებზეა აგებული, — მაგრამ, ნახეთ, რამდენი კარგი ახალი გაზეთია, რამდენი ახალი სატელევიზიო პროგრამა ჩანს ეთერში. მოდით, მხარი დავუჭიროთ მათ შემოქმედთ, რომლებიც ასევე ახალგაზრდები არიან. ძალიან მსიამოვნებს, — განაგრძო მან, — რომ ახალგაზრდების ნაწერებში ვერ შევხვდებით ბოროტების ელემენტებს. მაშინაც, როცა გვაკრიტიკებენ, ისინი გულწრფელნი რჩებიან. უნდა მივესალმოთ და მხარი დავუჭიროთ მათ. ცხადია, ისინი უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ მათ მხარდაჭერაც სჭირდებათ. ავიღოთ, თუნდაც ტელევიზია. იგი ფაქტობრივად აღარ არსებობდა. დავეხმარეთ. ასევე დავეხმარებით გაზეთებს და ეს აუცილებელია, რადგან საზოგადოებრივი აზრის სწორი ფორმირების გარეშე წინსვლა გაგვიჭირდება, — თქვა მან.

თავისი გამოსვლის დასასრულს სახელმწიფოს მეთაური შეეხო აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზებს და კვლავ დაადასტურა ქართულ-აფხაზური სერიოზული დიალოგის აუცილებლობა. ჩვენ ამას ვამბობთ და ვიმეორებთ და მზადაც ვართ ამისათვის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, — თქვა მან, — მაგრამ ვეცდებით არ მოვადუნოთ საბრძოლო მზადყოფნაც, ძალაში დარჩება სამობილიზაციო მზადყოფნა, რათა, თუ საჭირო გახდა, მოვახდინოთ საყოველთაო მობილიზაცია. ამისათვის ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელები სოხუმში იმყოფებიან და ყველაფერს აკეთებენ. თუ საჭირო იქნება, ჩვენც წავალთ და იქ დავდგებით, როგორც ადრე ყოფილა.

აფხაზეთის ომით ქართველებმა და აფხაზებმა ისტორიული გაკვეთილი მიიღეს, — განაგრძო მან, — მისი შედეგი აშკარაა და იმაში მდგომარეობს, რომ იგი არც ქართველის და არც აფხაზის სასიკეთო არ არის და არც იქნება. მოიგებს სხვა, მესამე ძალა, რომელმაც უკვე მიიღო რაღაც. და თუ დროზე არ გამოვერკვევით ორივენი, ბევრ რამეს დავკარგავთ.

მე არ მინდა უგულებელვყო რუსეთის პრეზიდენტის მონაწილეობა ამ კონფლიქტის გადაწყვეტაში, მივესალმებით უკრაინის პრეზიდენტის მონაწილეობას, უშიშროების საბჭოს მონაწილეობას, მაგრამ უმთავრესი ქართველთა და აფხაზთა თანხმობაა. ამის სიმპტომები ახლა აფხაზთა შეგნებაში გაჩნდა. მივესალმები ამას. მივესალმები აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის პოზიციას. იქ ბევრი საინტერესო ხალხია, ისინი აფხაზეთის და საქართველოს პატრიოტები არიან. მათ შეუძლიათ ინიციატივის აღება. ოღონდ ჩვენ გარანტიებიც გვჭირდება, რომ ავანტიურა გამოირიცხოს.

ჩვენ იმის მორალური უფლებაც უნდა გვქონდეს, რომ სხვა კონფლიქტების მოწესრიგებაში მივიღოთ მონაწილეობა, — განაცხადა შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ, — და გვქონდა ამის ცდაც ყარაბახის კონფლიქტთან დაკავშირებით. ეს ჩვენი სატკივარიც არის, რადგან იგი შესაძლოა რეგიონულ უბედურებაში გადაიზარდოს. კმაყოფილებით ვამბობ, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ჩვენ შესანიშნავი დამოკიდებულება გვაქვს აზერბაიჯანის პრეზიდენტთან, სომხეთის პრეზიდენტთან. სწორად მოვიქეცით, რომ აზერბაიჯანთან დავდეთ ხელშეკრულება. ასეთივე ხელშეკრულებას მალე სომხეთთანაც მოვაწერთ ხელს. ანკარაში ჩვენს შეხვედრებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა მსოფლიოს თვალში. რადგან ყველა ეს კონფლიქტი ერთ კომპლექსში განიხილება. ასეც უნდა იყოს. ჩვენ ერთი ცა გვაქვს და ეს ცა მშვიდობიანი და მზიანი უნდა იყოს. ამ ცის ქვეშ მცხოვრებ კავკასიის ხალხებს გარანტია უნდა ჰქონდეთ, რომ დიდი ტრაგედიის მსხვერპლი არ იქნებიან. თუ ამიერკავკასიაში მშვიდობა იქნება, ჩრდილოეთ კავკასიასაც გადაედება და ეს საბოლოოდ მშვიდ რუსეთსაც ნიშნავს. ეს კი მსოფლიო საზრუნავია და მასში წვლილის შეტანა დიდად საპატიო საქმეა, — თქვა დასასრულ ედუარდ შევარდნაძემ.

# აფხაზეთი: უნდა მოვიგოთ თუ დავამთავროთ ომი?!

**საქართველოს** პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე გამოტანილ საკითხს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს საკითხი, რომელიც ყველას აღელვებს. „საქართველოს რესპუბლიკის სადგილმამულო კანონის პროექტის" განხილვამ საყოველთაო დაინტერესება გამოიწვია, იმიტომ, რომ ეს კანონი ერთ-ერთი იმ ძირითადი ბოძთაგანია, მომავალი საქართველოს შენობა რომ უნდა დაეფუძნოს.

მაგრამ დაინტერესებას ორი ასპექტი აქვს — დადებითი და უარყოფითი, და იმ დეპუტატთაგან, რომლებიც მიკროფონებთან ერთმანეთს ცვლიდნენ (სხვათა შორის ამჯერად გამოსვლათა უმეტესი ნაწილი სწორედ საკითხის აქტუალობით იყო გამოწვეული და არა მიკროფონთან საკუთარი მჭევრმეტყველების წარმოჩენის სურვილით), ნაწილი თუ უჭერდა მხარს წინადადებას, დღეს უდებატოდ კანონი პირველი წაკითხვით მივიღოთ, დანარჩენი — კონსულტაციებზე დავხვეწოთ, მეორე ნაწილი უფრო რადიკალურად იყო განწყობილი — თუმცაღა კანონი უაღრესად მნიშვნელოვანი, დროულად მისაღებია, წარმოდგენილი ვარიანტის საფუძვლად მიღება შეცდომა იქნებოდა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავირჩიოთ სისტემა, რომელზეც უნდა აიგოს ეს კანონი. ეს სისტემა კი ჯერ არა გვაქვს.

დებატების შემდეგ გადაწყდა კანონის პროექტის განხილვა მორიგ დღისათვის (დახურულ სხდომაზე) გადადებულიყო.

შემდეგ პარლამენტმა დღის წესრიგს გადაუხვია და მოისმინა ბატონ თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაცია აფხაზეთის საკითხზე.

— ომი აფხაზეთში... უნდა დავამთავროთ თუ უნდა მოვიგოთ — ფაქტობრივად ამ კითხვაზე პასუხის ძიება იყო როგორც მისი, ისე სხვა გამომსვლელთა ძირითადი აზრი და პათოსი.

— როგორ უნდა მოვიქცეთ,— თქვა ბატონმა თამაზმა, — იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ ვამბობთ: „აფხაზი ჩვენი ძმაა", ისინი ამბობენ — „სიკვდილი ქართველებს!" ჩვენ ვამბობთ — „შევუნარჩუნოთ აფხაზებს გენოფონდი", ისინი — „არც ერთი ქართველი არ დარჩეს აფხაზეთში!" ჩვენ — „მშვიდობიანი გზით გადავწყვიტოთ ეს კონფლიქტი", ისინი — „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ" და ასე... ამით გამომსვლელმა ცალსახად გასცა პასუხი თავისსავე დასმულ კითხვაზე. თან დასძინა: დროა გონს მოვეგოთ, რასაც მტერი ვერ გვიშვრება, საკუთარ თავს ჩვენ ვუშვრებით. გავერთიანდეთ და ისე გამოვცილოთ ხელი დღესვე, დაუყოვნებლივ, ხვალ შეიძლება გვიან იყოს! ბატონმა თამაზმა გამოსვლა ასეთი ინფორმაციით დაამთავრა: დღეს დილიდან სოხუმი კვლავ იბომბება, არის მსხვერპლი.

პარლამენტართა აზრი კი, როგორც თითქმის ყოველთვის, ყველა საკითხზე აქაც გაიყო. აქ უკვე აშკარად გამოიკვეთა უმრავლესობის და უმცირესობის ანუ ოპოზიციის მკვეთრად განსხვავებული პოზიციები. არა, გაერთიანების საწინააღმდეგო, რასაკვირველია, არავის არაფერი აქვს. პირიქით. აფხაზეთის პრობლემებისადმი დამოკიდებულება მაქვს მხედველობაში.

„ბოლოს და ბოლოს მოვლენებს თავის სახელი უნდა დაერქვას"; „ახლა მაინც აღარ დადგა დრო, გამოვხატოთ მწვავედ ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ?"; „დროა (დაგვიანებულიც კია) დავაყენოთ ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი?"; „როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება — ისინი გვეომებიან, ჩვენ ომობანას ვეთამაშებით" და ასე...

ბატონი გურამ მამულიას ნათქვამს — აფხაზეთის სატკივარი სამეგრელოში იწყება, დარბაზში ისეთი რეაქცია მოჰყვა, რომ ბატონმა სპიკერმა ამგვარ შემთხვევებში არაერთხელ წარმატებით ნაცადი ხერხი გამოიყენა და შესვენება გამოაცხადა.

### საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

საღამოს სხდომა უკვე დაბალ რეგისტრში გაგრძელდა — ვნებათა ღელვამ დაცხრომა მოასწრო. ემოციები ემოციებად, მაგრამ ამ გამოსავლის ძიებისას იგი ვერაფერი დამხმარეა. მთავარი საქმიანი საუბარია. თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთ შესაძლო მარეგულირებელ ფაქტორად აფხაზეთში სამხედრო საბჭოს შექმნა მიიჩნია, რომელსაც სათავეში უნდა ჩაუდგეს პროფესიონალი სამხედრო პირი. იდეა ძირითადად მოიწონა პარლამენტმა.

დაპირისპირება საპარლამენტო უმრავლესობას და უმცირესობას შორის გამოიკვეთა მაშინ, როდესაც ბატონმა თედო პაატაშვილმა წაიკითხა რუსეთის ჯარების აფხაზეთის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი, რომელშიც საქართველოს პარლამენტი მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან გადაწყვეტილებას აფხაზეთიდან მათი ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის თაობაზე. თუ არა, გუმისთა-ფსოუს ზონა ოკუპირებულ ტერიტორიად გამოცხადდეს.

საპარლამენტო უმრავლესობად ცნობილი ფრაქციები და ცალკეული დეპუტატები დიდი ენთუზიაზმით არ შეეგებნენ დოკუმენტს არა იმიტომ, რომ ვინმე რუსის ჯარისკაცს ვერ შელევია, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი დოკუმენტების მიერ მოტანილ შესაძლო სიკეთეში ეჭვი ეპარებათ. დოკუმენტის მიღების წინააღმდეგ არავინ გამოსულა, უბრალოდ თავიანთი სკეპტიციზმი გამოხატეს. თუმცაღა სახელმწიფოს მეთაურმა თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა თავისთავად ამ ფაქტისადმი და თქვა, ამაში დიდი სიახლე არაფერია, მაგრამ პარლამენტი რომ კვლავ უბრუნდება ამ საკითხს ეს ურიგო არ არისო. დოკუმენტი ერთსულოვნად მიიღეს.

მაგრამ მანამდე ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება რუსეთის რეფერენდუმის შედეგებისადმი და აღნიშნა, რომ ბატონმა ბორის ელცინმა, მიიღო რა სერიოზული მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა თავისი ხალხისგან, საკმაოდ განიმტკიცა პოზიცია. ამასთან ეს რუსეთის რეაქციული ძალების ძლიერი მარცხია.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის საკითხთან დამოკიდებულებაში საქართველო იძულებული ხდება წავიდეს რადიკალურ ნაბიჯებზე. სოხუმის დაბომბვას ჩვენი მხრიდან მოჰყვა გუდაუთის დაბომბვა, თუ აქედან მოწინააღმდეგე დასკვნებს არ გამოიტანს, მივმართავთ უფრო მასირებულ ღონისძიებებს, ეს უკვე ამ ისედაც სასტიკი ომის ახალი მასშტაბების დასაწყისი იქნება, რაც ძალზე სამწუხაროა. მაგრამ ჩვენ არჩევანს არ გვიტოვებენ.

მშვიდობიანი გზა ყველა ჩახერგილი როდია. ჯერ კიდევ არის შესაძლებლობები მოლაპარაკებით საქმის მოგვარებისა. მთავარია აფხაზთა მხარემ ბოლომდე გააცნობიეროს მთელი ეს საშინელება, რაც თავს დაგვატეხეს ჩვენდა უნებურად.

სახელმწიფოს მეთაურმა აფხაზეთის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ბატონი თამაზ ნადარეიშვილი. მასვე მიენიჭა გენერლის ჩინი.

**ვალინა ხარებაშვილი,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტი.

## ნომერში

◉ აფეთქდება თუ არა ტყვარჩელის შახტები? — 3

◉ კანონი საუკეთესო იარაღია. — 4

### მის აღმატებულებას, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბ. ნ. ელცინს

ღრმად პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ,

სულითა და გულით გილოცავთ დამაჯერებელ გამარჯვებას რეფერენდუმში, რომელმაც დაადასტურა, რომ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ნდობა მოიპოვეთ პირადად თქვენ და თქვენს მიერ არჩეულმა კურსმა.

ეჭვი არ გვეპარება, რომ რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებას ამიერიდან ახალი სტიმული მიეცემა და ჩვენი ხალხების ინტერესებისათვის ხელს შეუწყობს მშვიდობისა და კეთილმეზობლობის საქმეს.

გულწრფელად გისურვებთ შემდგომ წარმატებებს რუსეთის ხალხების საკეთილდღეოდ თქვენი უაღრესად ძნელი მისიის განხორციელებაში.

პატივისცემით

**ედუარდ შევარდნაძე.**

ქ. თბილისი, 1993 წლის 27 აპრილი.

---

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე

**ითვალისწინებს** რა, რომ:

რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული კონტინგენტი აქტიურად მონაწილეობს საომარ მოქმედებებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ,

რუსეთის პარლამენტმა არაერთხელ მიიღო დადგენილებები, რომლებიც უხეშად ლახავს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს,

რუსეთმა დაარღვია მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება,

რუსეთის დელეგაციის ობსტრუქციული პოზიციის შედეგად პრაქტიკულად უნაყოფოდ დამთავრდა რუსეთ-საქართველოს სოჭის მოლაპარაკება; რუსეთის მხარემ ყურად არ იღო საქართველოს ხელისუფლების სახელით დაყენებული სამართლიანი მოთხოვნები,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა თუ რესპუბლიკის პარლამენტის განცხადებებსა და დადგენილებებში (1992 წლის 17 დეკემბერი, 1993 წლის 25 თებერვალი, 16-18 მარტი, 1 აპრილი და სხვ.) არაერთხელ იქნა გაცხადებული მოთხოვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე,

რუსეთის ჯარებისა და აფხაზი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ქართველი მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას,

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს მოვლენათა ტრაგიკული განვითარების უმთავრეს მიზეზად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა,

**და ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია 1993 წლის 25 აპრილის რეფერენდუმში, გამოიყენებს თავის ძალაუფლებას და უახლოეს ხანში მიიღებს გადაწყვეტილებას კონფლიქტის ზონიდან ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანისათვის.

2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი საკითხი დასვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

ქ. თბილისი, 1993 წლის 27 აპრილი.

---

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

რატიფიცირებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე**

თბილისი, 1993 წლის 6 აპრილი.

---

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

---

## საქართველოს პარლამენტის
## დადგენილება
### საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ჯარიმების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ჯარიმების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
**ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს რესპუბლიკა და აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შემდგომში მაღალ ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი, რომლებიც ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპის პარიზის ქარტიის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების ერთგულებას,

დარწმუნებულნი არიან, რომ ორი ხალხის ისტორიის, კულტურის წეს-ჩვეულებების სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობა საჭირო საფუძვლებს შეუქმნის მრავალმხრივ და მჭიდრო თანამშრომლობას,

მიიჩნევენ, რომ მათი მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს და ემსახურება მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობას განავითარებენ როგორც მეგობარი სახელმწიფოები, ისინი განუხრელად იხელმძღვანელებენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობის, ეკონომიკური და სხვა მეთოდების ჩათვლით, ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის, საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

### მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთხელსაყრელობისა და ურთიერთნდობის საფუძველზე დამყარებული მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებას პოლიტიკის, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის დარგებში. ამ მიზნით მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ აღნიშნულ და სხვა სფეროებში.

### მუხლი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მიმართავენ ერთობლივ ძალისხმევას საერთაშორისო მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ უსაფრთხოებისა და ნდობის რეგიონალური სისტემის შექმნას.

მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში რეგიონსა და მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობის მიზნით.

### მუხლი 4

ურთიერთობის შეთანხმებულად წარმართვის მიზნით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები სულ ცოტა წელიწადში ორჯერ გამართავენ კონსულტაციებს ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებზე.

მხარეები ამ კონსულტაციების დღის წესრიგს, ადგილსა და ვადებს შეათანხმებენ დიპლომატიური არხების საშუალებით.

### მუხლი 5

თითოეულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს მეორე მხარეს სასწრაფო კონსულტაციების მოწყობის თაობაზე ურთიერთუსაფრთხოების საკითხებში. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და შეათანხმებენ შესაძლო ზომებს ურთიერთუსაფრთხოებისათვის საშიში სიტუაციების დაძლევის მიზნით.

### მუხლი 6

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ ისეთ ქმედებასა ან ღონისძიებაში მონაწილეობისაგან, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს მეორე მხარის წინააღმდეგ, არ დაუშვებენ, რომ მათი ტერიტორია გამოყენებული იქნეს ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ან სხვა ძალისმიერი ქმედების განხორციელებისათვის. ამ მიზნით მხარეები ყველა ზომას მიმართავენ, რათა აღკვეთონ დივერსიული ჯგუფებისა და შეიარაღებული ფორმირებების შექმნისათვის და მეორე მხარის ტერიტორიაზე მათი შესაგზავნად თავისი ტერიტორიის გამოყენების ცდები.

### მუხლი 7

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მხარს უჭერენ შავი და კასპიის ზღვების რეგიონის ქვეყნების საერთო ბაზრის ჩამოყალიბების იდეას. ისინი ითანამშრომლებენ საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა ორგანიზაციებში, შეთანხმებებსა და კონვენციებში, აღნიშნული ორგანიზაციების, შეთანხმებებისა და კონვენციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

### მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები წარმართავენ თავიანთ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე.

მხარეები ორმხრივი ძალისხმევით გააღრმავებენ და გააფართოებენ ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას. ამ მიზნით მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას მრეწველობის, ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, სატელიტური კავშირისა და ეკონომიკის სხვა დარგებში.

### მუხლი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული, ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და ხელს შეუწყობენ აღნიშნულ თანამშრომლობას კაპიტალდაბანდებების, ტექნოლოგიების, საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით.

მხარეები მათი მხარდაჭერისათვის აუცილებელი ყველა საშუალების გამოყენებით, ხელს შეუწყობენ სახელმწიფო და კერძო საწარმოების, აგრეთვე სხვა ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ, საწარმოების კოოპერაციის, ინვესტიციებისა და კაპიტალის დარგში. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლობას.

მხარეები გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გაუწევენ დახმარებას საბაზრო ეკონომიკის სწავლების, ფორმირებისა და სრულყოფის პროცესში.

### მუხლი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და გააფორმებენ ცალკეულ ხელშეკრულებებს სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის, აგრეთვე ფულადსაკრედიტო და ფასების პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებზე.

მხარეები დროულად შეატყობინებენ ერთმანეთს იმ გადაწყვეტილებებს ეკონომიკის დარგში, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მეორე მხარის ეკონომიკურ ინტერესებს.

### მუხლი 11

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ მგზავრებისა და ტვირთის დაუბრკოლებელ ტრანზიტს მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საზღვაო სამდინარო, საჰაერო პორტებში, სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე და მილსადენებით.

### მუხლი 12

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ ორმხრივი სატრანზიტო-სატრანსპორტო კომუნიკაციების, ტრანსპორტის ყველა დარგის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას ტელეკომუნიკაციური კავშირის, კერძოდ, სატელეფონო, სატელექსო კავშირის და ელექტრონული ფოსტის მოდერნიზაციისა და სრულყოფისათვის.

### მუხლი 13

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შესაბამის პირობებს შექმნიან ორივე ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების ურთიერთდაბანდებისათვის და დაეხმარებიან ერთმანეთს ტექნოლოგიების გაცვლაში.

მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ერთობლივი საწარმოების შექმნას სასოფლო-სამეურნეო, სამთო-მომპოვებელი მრეწველობის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების და სხვა დარგებში, აგრეთვე შექმნიან ყველა პირობას ერთობლივი მეწარმეობის განვითარებისათვის.

### მუხლი 14

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, მყარი ეკოლოგიური უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით ითანამშრომლებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში. ისინი შექმნიან, ხელს შეუწყობენ და გააფართოებენ პირობებს გარემოს დაცვის, მათ შორის წყლისა და ჰაერის, ნიადაგისა და ტყის, აგრეთვე მცენარეული და ცხოველთა სამყაროს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მხარეები მონაწილეობას მიიღებენ გარემოს დაცვის დარგში, როგორც რეგიონალური ისე გლობალური კოორდინირებული სტრატეგიის შექმნაში.

### მუხლი 15

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას და გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, მედიცინის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ტურიზმისა და სპორტის დარგებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას, კავშირების და უშუალო კონტაქტების გაფართოებას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს და საზოგადოებებს, კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

მხარეები მხარს დაუჭერენ კონტაქტებს ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის და დადებენ ხელშეკრულებას საკონსულო თანამშრომლობის დარგში.

### მუხლი 16

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რათა შესაძლებლობა მისცენ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს სრულად შეითვისონ მეორე მხარის ენისა და კულტურის ფასეულობები, მხარი დაუჭირონ ერთმანეთის ლიტერატურის გავრცელებას.

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას გააფართოონ მეორე მხარის ენის, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა ერთმანეთის უმაღლეს და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

მხარეები ითანამშრომლებენ პედაგოგების გაცვლის, მომზადების და პროფესიული სრულყოფის, აგრეთვე სახელმძღვანელოების მიწოდების დარგში.

### მუხლი 17

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე მხარის მოქალაქეების კონტაქტებს და თანამშრომლობას, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ეკლესიებს, მეჩეთებს და რელიგიურ გაერთიანებებს, ფონდებს, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის.

### მუხლი 18

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ მეორე მხარის მოქალაქეებს აძლევს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური უფლებების და ძირითადი თავისუფლებების გარანტიას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების და საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

თითოეული მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ მეორე მხარის მოქალაქეებს აძლევს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

თითოეული მხარე იცავს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებებს, უწევს მათ მფარველობასა და მხარდაჭერას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად.

მხარეები დადებენ ცალკე ხელშეკრულებებს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავიანთი მოქალაქეების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო, ოჯახური და სისხლის სამართლის სფეროებში.

### მუხლი 19

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა ისევე, როგორც ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქვეყნის მიმართ მოვალეობის შესრულება, არის საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მხარეები გარანტიას აძლევენ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, სრულად და ეფექტურად ისარგებლონ ადამიანთა უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში.

მხარეები გარანტიას აძლევენ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, თავისუფლად გამოხატონ, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა და არ ეცდებიან მათ ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ.

მხარეები უზრუნველყოფენ თავის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას და შექმნიან პირობებს ამ თვითმყოფადობის ხელშეწყობისათვის.

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ მიიღონ ეფექტური ზომები, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების სახით, ყველა ისეთი ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, რომლებიც უბიძგებენ ძალადობისაკენ ცალკეული პირების ან ჯგუფების წინააღმდეგ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური დისკრიმინაციის, მტრობისა და სიძულვილის საფუძველზე.

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ეფექტური ზომები მიიღონ ცალკეული პირების ან ჯგუფების სიცოცხლის და ქონების დაცვისათვის, რომლებიც ძალადობის მუქარის ან აქტების, დისკრიმინაციის და მტრობის საშიშროების წინაშე დგანან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ ან რელიგიურ საფუძველზე.

მხარეები დადებენ თანამშრომლობის ხელშეკრულებას იმ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ უმცირესობებს.

### მუხლი 20

ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არსებული მეორე მხარის სახელმწიფო და იურიდიული პირის ან მოქალაქეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საკუთრების ადგილმდებარეობის მხარის კანონმდებლობით, თუ სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული მხარეებს შორის არსებული სპეციალური შეთანხმებით.

თუ ერთ-ერთი მხარე განაცხადებს, რომ მას ეკუთვნის მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებული საკუთრება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს მესამე პირი ან სახელმწიფო, მეორე მხარე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა აღნიშნული საკუთრების დაცვისა და შენახვისათვის სადავო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე და არა აქვს უფლება გადასცეს ვინმეს აღნიშნული საკუთრება, პირველი მხარის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე.

ორი მხარის საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ექვემდებარება მოწესრიგებას ცალკეული ხელშეკრულებების საფუძველზე.

### მუხლი 21

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ ორგანიზებული და საერთაშორისო დამნაშავეობის, ნარკოტიკების უკანონო გავრცელების, ტერორიზმის, საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ხელყოფის, კულტურული ფასეულობების გატანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხარეები ხელს მოაწერენ ცალკეულ შეთანხმებებს აღნიშნულ და სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

### მუხლი 22

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას და კავშირების განვითარებას ორი ქვეყნის პარლამენტებსა და პარლამენტარებს შორის, ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას აღნიშნულ სფეროში.

### მუხლი 23

თითოეული მხარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას აღნიშნულ სფეროში შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

### მუხლი 24

აღნიშნული ხელშეკრულება არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ ლახავს მხარეთა მიერ ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს მესამე ქვეყნის მიმართ.

### მუხლი 25

წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

### მუხლი 26

ეს ხელშეკრულება იდება ხუთი წლის ვადით. მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი შემდეგი ხუთწლიანი ვადით, თუ ხელშეკრულებაში მონაწილე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს მისი შეწყვეტის სურვილს არა უგვიანეს ექვსი თვით ადრე მომდევნო ხუთწლიანი პერიოდის დამთავრებამდე.

შესრულებულია ქ. ბაქოში 1993 წლის 3 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და თურქულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

**საქართველოს რესპუბლიკის**
**სახელით**
**ედუარდ შევარდნაძე**

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის**
**სახელით**
**აბულფაზ ელჩიბეი**

---

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის პრივატიზაციისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის, საპრივატიზაციო ობიექტებზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის უზრუნველყოფის, მოსახლეობაში არსებული საინვესტიციო პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნების, სახელმწიფო საწარმოების აქციონირების, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ქონების გადაცემის დასაჩქარებლად და ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმის მიზნით, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს 1993 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემა. ამ თარიღისათვის გამოშვებულ იქნეს და დაიწყოს 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათების საქართველოს მოქალაქეებისათვის გაცემა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს 1993 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით უფლება აქვს მიიღოს ერთი საპრივატიზაციო ბარათი, რომელიც საშუალებას მისცემს თითოეულ მოქალაქეს საკუთრებაში უფასოდ მიიღოს განსაზღვრული საერთო სახელმწიფო (საპრივატიზაციო) ქონებიდან თანაბარი წილი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები საპრივატიზაციო ბარათების მიღებისას იხდიან საკომისიო მოსაკრებელს.

4. 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათების დარიგებისას დადგინდეს საკომისიო მოსაკრებელი 100 მანეთის ოდენობით.

5. საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადასაცემად არ დაიშვება ფასიანი ქაღალდების გამოშვება ან სხვა სისტემების შექმნა.

6. დამტკიცდეს დებულება საპრივატიზაციო ბარათების შესახებ (თან ერთვის).

7. საპრივატიზაციო ბარათის ნომინალური ღირებულება განისაზღვროს საპრივატიზაციო ბარათების მიმოქცევაში შემოტანის დღისათვის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით.

დაწესდეს, რომ 1993 წლის გამოშვების საპრივატიზაციო ბარათები მოქმედებენ 1993 წლის 1 სექტემბრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე.

8. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ:

— დამტკიცოს 1993 წლის 15 მაისამდე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით მოქალაქეებისათვის საპრივატიზაციო ბარათების გაცემისას საკომისიო მოსაკრებლების გადახდევინების წესი;

— უზრუნველყოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან საპრივატიზაციო ბარათების დასამზადებლად, ტრანსპორტირებისათვის, შესანახად და გასაცემად საჭირო ღონისძიებათა დაფინანსება.

9. საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღების ოპერატიული მართვისა და კონტროლის მიზნით შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღების საკოორდინაციო საბჭო.

10. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ:

— დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით არა უგვიანეს 1993 წლის 5 ივნისისა მოამზადოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად დებულება საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებული საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემომღები საკოორდინაციო საბჭოს შესახებ. ამ საბჭოს შემადგენლობა და დებულება საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების შემოღების ტერიტორიული კომისიების შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკთან, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად 1993 წლის 5 ივნისამდე უზრუნველყოს საპრივატიზაციო ბარათების გამოშვების, გაცემისა და დაფარვისათვის აუცილებელი ნორმატიული დოკუმენტებისა და სხვა აქტების შემუშავება და მიღება;

— საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული სამინისტროებისა და დაწესებულებების, ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს ნორმატიული და სხვა აქტები, რომლებიც მოახდენენ საპრივატიზაციო ბარათების სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას;

11. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის მერიებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა:

— საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღებისას იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობით, ამ დადგენილებით და საქართველოს რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროს ნორმატიული და სხვა აქტებით.

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკს და მის განყოფილებებს საპრივატიზაციო ბარათების გასავრცელებლად მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის არა უგვიანეს 1993 წლის 10 ივნისამდე გადასცენ შესაბამისი სათავსები;

— საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობასთან ერთად გადაწყვიტონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკისთვის აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად გაწეული დანახარჯების ანაზღაურების საკითხი;

— სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად:

— შექმნან საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემომღები ტერიტორიული კომისიები და მოახდინონ მათი მუშაობის ორგანიზება არაუგვიანეს 1993 წლის 20 ივნისამდე;

12. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკთან და ეროვნულ ბანკთან ერთად უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების დაცვა და შენარჩუნება მათი ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის დროს.

13. საქართველოს რესპუბლიკაში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის ასამოქმედებლად შექმნილმა ტერიტორიულმა კომისიებმა არა უგვიანეს 1993 წლის 20 ივლისისა შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეადგინონ საპრივატიზაციო ბარათების მიღებაზე უფლების მქონე მოქალაქეთა სიები და ერთი ეგზემპლარი გაუგზავნონ საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის ადგილობრივ განყოფილებებს, მეორე საკონტროლო ეგზემპლარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრთან შექმნილ საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებაში შემოღების საკოორდინაციო საბჭოს.

14. ორგანიზაციებსა და საწარმოებს (მათ შორის სავაჭრო დაწესებულებებს) ეკრძალებათ მიიღონ საპრივატიზაციო ბარათები, როგორც გადახდის საშუალება საქონლის, მომსახურეობისა და სამუშაოს საფასურად.

15. ეთხოვოს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმებით 1993 წლის ივნისიდან განახორციელონ საინფორმაციო ღონისძიებანი საქართველოში საპრივატიზაციო ბარათების სისტემის შემოღების წესისა და მისი რეალიზაციის მექანიზმის განმარტებისათვის.

16. დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**თ. სიგუა.**

---

### ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ № 287 ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ

# ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲛᲣᲮᲚᲘ 1. ზოგადი დებულებანი**

1. საპრივატიზაციო ბარათების მეშვეობით ხდება სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოების, მათი ქვედანაყოფების, ქონების, სააქციო საზოგადოებებში და ამხანაგობებში აქციებისა და წილის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისადმი უსასყიდლოდ გადაცემის მექანიზმის რეალიზაცია.

2. **საპრივატიზაციო** ბარათები ეძლევათ საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეებს, რომელთაც აღნიშნული დებულების მეორე მუხლის მიხედვით აქვთ საპრივატიზაციო ბარათების მიღების უფლება.

საპრივატიზაციო ბარათები შეიძლება შესყიდული იქნეს და გაიყიდოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

პირებს, რომლებიც „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად, მყიდველებად ითვლებიან, უფლება აქვთ საპრივატიზაციო ბარათები გამოიყენონ გადახდის საშუალებად პრივატიზების ობიექტების კერძო საკუთრებაში შეძენისას.

პრივატიზების ობიექტების შეძენისას გადახდის საშუალებად გამოყენებული საპრივატიზაციო ბარათები იფარება და ამოიღება მიმოქცევიდან.

3. საპრივატიზაციო ბარათი არის მიზნობრივი დანიშნულების ფასიანი ქაღალდი, რომელსაც აქვს დროის ფიქსირებულ მონაკვეთსა და მოთხოვნა-მიწოდების ცვალებად პირობებში ბარათებით პრივატიზებადი სახელმწიფო ქონებიდან მოქალაქის კუთვნილი თანაბარი წილის განსაზღვრის ფუნქცია.

საპრივატიზაციო ბარათი არის დოკუმენტი წარმომდგენზე.

4. საპრივატიზაციო ბარათებით შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს გადახდილი საპრივატიზებო ობიექტის ღირებულება.

პრივატიზაციის პროცესში საწარმოს მთლიანად გაყიდვისას, ასევე ლიკვიდირებადი და ლიკვიდირებული საწარმოების ქონების (აქტივების) კონკურსით ან აუქციონით გაყიდვისას მყიდველი ვალდებულია საპრივატიზაციო ბარათებით გადაიხადოს ბარათებზე პრივატიზებისათვის განსაზღვრული ქონების საფასური.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო ან სხვა პირი, რომელიც არის ბარათებზე პრივატიზებადი ობიექტების გამყიდველი, არ არის უფლებამოსილი საპრივატიზაციო ბარათების სანაცვლოდ მიიღოს სხვა ფასიანი ქაღალდი, როგორც გადახდის კანონიერი საშუალება.

5. თითოეულ საპრივატიზაციო ბარათს აქვს მისი გამოშვებისას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დაწესებული მოქმედების განსაზღვრული ვადა. საპრივატიზაციო ბარათი ვადის გასვლის შემდეგ ითვლება ძალადაკარგულად და ამოიღება მიმოქცევიდან.

6. საპრივატიზაციო ბარათების გაცემის, მიმოქცევის, გამოყენებისა და დაფარვის (ბათილად ცნობის) წესი დგინდება ამ დებულებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით.

**ᲛᲣᲮᲚᲘ 2. საპრივატიზაციო ბარათის მიღების უფლება**

1. საპრივატიზაციო ბარათის მიღების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს 1993 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით.

2. საპრივატიზაციო ბარათების ქმედითუუნარო ან შეზღუდული ქმედითუნარიანობის მქონე მფლობელების ინტერესებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად იცავს მათი კანონიერი წარმომადგენლები, მეურვეები და მზრუნველები.

3. სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი არასრულწლოვანებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირების საპრივატიზაციო ბარათებზე უფლებების რეალიზაციის წესი დგინდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

**ᲛᲣᲮᲚᲘ 3. საპრივატიზაციო ბარათების გაცემის წესი**

1. საპრივატიზაციო ბარათები გაიცემა ამ დებულების მეორე მუხლის 1 და და 2 პუნქტებში განსაზღვრულ პირებზე, ან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, მზრუნველებსა და მეურვეებზე.

2. იმ პირთა სიებს, რომელთაც ამ დებულების თანახმად აქვთ საპრივატიზაციო ბარათების მიღების უფლება, ადგენს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მოქალაქეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. საპრივატიზაციო ბარათების მიმღებ, საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა სიების შედგენის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ შედგენილი სიების შესაბამისად საპრივატიზაციო ბარათების გაცემას ახდენენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის ადგილობრივი დაწესებულებანი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენისას, ხოლო წარმომადგენელზე, მზრუნველებსა და მეურვეებზე საპრივატიზაციო ბარათების გაცემისას ასევე აუცილებელია მათი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

4. საპრივატიზაციო ბარათების გაცემის წესი რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით.

**ᲛᲣᲮᲚᲘ 4. საპრივატიზაციო ბარათების გამოყენება**

1. საპრივატიზაციო ბარათები მათი მიღების ადგილის მიუხედავად შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

2. საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად საპრივატიზაციო ბარათებით შეიძლება შეძენილი იქნეს პრივატიზების ობიექტები, ასევე საპრივატიზაციო ბარათების თავმომყრელი პრივატიზაციის სპეციალიზებული საინვესტიციო ფონდების აქციები (ჰაი).

3. საპრივატიზაციო ბარათი პრივატიზაციის პროცესში გადახდის საშუალებად გამოიყენება ერთხელ. საპრივატიზაციო ბარათების დაფარვის (ბათილად ცნობის) პროცედურა დგინდება საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სხვა გაზეთებიდან

# ისევ კუპონის დასაცავად

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 26 მარტს მიიღო გადაწყვეტილება № 2/4, რომელმაც რესპუბლიკის მეწარმეებში არაერთგვაროვანი რეაქცია და შეშფოთება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება გაზეთ „ბანკში" (27. 04. 93) დაბეჭდილი მასალები, რომლებსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.**

## გაზეთ „ბანკის" რედაქტორს ბატონ გია ლომაძეს

**გიგზავნით** განცხადებას საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის სახელზე, ეროვნული ბანკის 1993 წლის 26 მარტის № 2/4 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში, როგორც ეს განცხადება, ისე რესპუბლიკის ეროვნული ბანკის იურიდიული სამსახურის დასკვნა აღნიშნულ საკითხზე.

საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის იურისტი **ნიკა კიკაბიძე.**
15.04.93.

**ბანკი**

## საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს ბატონ თედო ნინიძეს, ახალი გაზეთ „ბანკის" რედაქციას, „კავკასიის ბირჟას"

# განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 26 მარტს მიიღო **გადაწყვეტილება №2/4**, რომლითაც:

1. აუკრძალა კომერციულ ბანკებს მოსახლეობისაგან შესყიდული ნაღდი ვალუტის გამოყენება სხვა მიზნებისათვის, თუ არა ისევ მოსახლეობისთვის მისაყიდად.

2. აუკრძალა კომერციულ ბანკებს და ბირჟებს ნაღდი ვალუტის გაყიდვა უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3. დაუწესა კომერციულ ბანკებს მარჟა ნაღდი ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის 10 პროცენტის ოდენობით.

ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მთელ რიგ მოქმედ კანონებს.

საქართველოს რესპუბლიკაში საბანკო საქმიანობა რეგულირდება რესპუბლიკის კანონებით „ბანკების და საბანკო საქმიანობის შესახებ", „ეროვნული ბანკის შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ" და სხვა კანონმდებლობით.

1. „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად „ეროვნული ბანკი საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის გამოსცემს სავალდებულო ნორმატიულ აქტებს და სხვა მითითებებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების ფარგლებში". ხოლო ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სცილდება მის კომპეტენციას, რომელიც ჩამოყალიბებულია კანონში „ეროვნული ბანკის შესახებ".

არცერთი ზემოაღნიშნული კანონი არ აძლევს ეროვნულ ბანკს უფლებას, მიუთითოს კომერციულ ბანკებს მოსახლეობისაგან შესყიდული ვალუტის გამოყენების მიმართულებები და ფორმები, ვინაიდან ეს არის კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევა, რაც აკრძალულია „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის მე-16 მუხლით. კერძოდ, ეს მუხლი ადგენს: „ეროვნული ბანკი არ ერევა კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში".

უფრო მეტიც, „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონის მე-6 მუხლი ადგენს, რომ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ სხვადასხვა ოპერაციები, მათ შორის, „ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან უცხოური ვალუტის შეძენა და მათთვის მისი მიყიდვა", ე. ი. კანონი ნებას რთავს ბანკებს მოსახლეობისაგან ნაყიდი ვალუტა მიყიდოს როგორც მოსახლეობას, ისე ორგანიზაციებს, ხოლო ეროვნული ბანკი თავისი გადაწყვეტილებით უკრძალავს კომერციულ ბანკებს კანონით დაშვებული ოპერაციების ჩატარებას, რაც უკანონოა.

2. ასევე კანონსაწინააღმდეგოა კომერციული ბანკებისათვის და ბირჟებისათვის ნაღდი ვალუტის გაყიდვის აკრძალვა უნაღდო ანგარიშსწორებით, უპირველეს ყოვლისა, „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი გამოსცემს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც სავალდებულოა კომერციული ბანკებისათვის, მაგრამ არა ბირჟებისათვის.

მეორე, ამ აკრძალვით ეროვნულმა ბანკმა დაარღვია „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონის 26-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „ბანკები ანგარიშსწორებას ახორციელებენ რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით. თუ ანგარიშსწორების რომელიმე ფორმა არ არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, ისარგებლონ საერთაშორისო პრაქტიკით". ეროვნულ ბანკს დღემდე არ დაუდგენია ანგარიშსწორების წესები. ამ სფეროში ძირითადად ისევ მოქმედებს ყოფილ სსრ კავშირის «Правила безналичных расчетов в народном хозяйстве». ხოლო რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საერთაშორისო პრაქტიკა არ კრძალავს ნაღდი ვალუტის გაყიდვას უნაღდო ანგარიშსწორებით, ამდენად, ეს აკრძალვაც ასევე უკანონოა.

3. კანონსაწინააღმდეგოა აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ ათპროცენტიანი მარჟის დაწესება ნაღდი ვალუტის ყიდვა-გაყიდვის დროს. ეს გადაწყვეტილებაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს. კერძოდ, „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონის მე-20 მუხლის თანახმად კომერციული ბანკები ვალდებული არიან, დაიცვან ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეკონომიკური ნორმატივები. მაგრამ „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის მე-20 მუხლის თანახმად, მარჟა არ განეკუთვნება ასეთ ეკონომიკურ ნორმატივს და ამდენად ეროვნულ ბანკს არა აქვს მისი დაწესების უფლება.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დადგენილებით, დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულების" მე-8, მე-14, და მე-15 მუხლების შესაბამისად გთხოვთ:

შეიტანოთ პროტესტით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში ან სასამართლოში და მოითხოვოთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1993 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება №2/4-ის, როგორც კანონსაწინააღმდეგო აქტის, გაუქმება ან მაცნობოთ მოტივირებული უარი პროტესტის შეტანაზე.

**ნიკა კიკაბიძე,**
საქართველოს მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის იურისტი.
15.04.93.

# საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის იურიდიული სამსახური უპასუხებს:

ბატონი ნ. კიკაბიძე, განიხილავს რა რესპუბლიკაში მოქმედი საბანკო კანონმდებლობის ცალკეულ მუხლებს, მოითხოვს გაუქმდეს ეროვნული ბანკის გამგეობის მიერ 1993 წლის 26 მარტს მიღებული №2/4 გადაწყვეტილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო აქტი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის იურიდიული სამსახური ვერ გაიზიარებს და ვერ დაეთანხმება ბატონ ნ. კიკაბიძის მოთხოვნას. პირიქით, ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება დროული და აუცილებელი იყო, რომ იგი გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებიდან, რომლებითაც ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში.

როგორც იურისტი, მე არ შევუდგები იმ ეკონომიკური მოტივების განხილვას, რამაც განაპირობა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. ვფიქრობ, ჯობს კოლეგას ვუპასუხო იმავე კანონების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც, იგი ასაბუთებს გადაწყვეტილების გაუქმების საჭიროებას.

კერძოდ:

1. ბატონ ნ. კიკაბიძეს მოჰყავს „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის დებულება: „ეროვნული ბანკი საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის გამოსცემს სავალდებულო ნორმატიულ აქტებსა და სხვა მითითებებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების ფარგლებში" და თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება სცილდება ეროვნული ბანკის კომპეტენციას. ჩვენი რწმენით, სწორედ ამგვარი დასკვნა ეწინააღმდეგება „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის დებულებას, რომლის მიხედვითაც **„საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების ორგანოა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, რომელიც ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ახორციელებს ფულის მიმოქცევის მართვას მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით.** ამავე კანონის მე-5 მუხლი აყალიბებს ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რომლის „გ" პუნქტში ვკითხულობთ: **„საპროცენტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებს"**.

აქედან გამომდინარე, სწორედ ეროვნული ბანკის კომპეტენციაში შედის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალუტო ურთიერთობათა მოწესრიგება და კონტროლი სავალუტო ოპერაციების განხორციელებაზე, რის უფლებამოსილებასაც მას ანიჭებს დასახელებული კანონის 28-ე მუხლი. **„საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო ოპერაციებზე კონტროლს აწესებს ეროვნული ბანკი".**

ზემოთ მოყვანილი კანონის დებულებების შესახებ ბატონი ნ. კიკაბიძე რატომღაც დუმს.

2. ბრალდება იმის შესახებ, რომ №2/4 გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ერევა კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ" კანონის მე-8 მუხლი ადგენს: **„ეროვნულ ბანკს შეუძლია გაატაროს დამატებითი ღონისძიებანი კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებათა შეზღუდვის, მათ აქტიურ-პასიურ ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისა და მათთვის საკომისიო ანაზღაურების ზღვრების დაწესებით".** აღნიშნული გადაწყვეტილებით კომერციული ბანკების მიერ ნაღდი ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის ზღვრული მარჟის დადგენა სხვა არაფერია, თუ არა საბანკო დაწესებულებებისათვის საკომისიო გასამრჯელოს ზღვარის დაწესება. აღვნიშნავ, რომ ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სავალუტო პრაქტიკაში.

იმისთვის, რომ დაამტკიცოს კომერციული ბანკების მიერ მოსახლეობისაგან შესყიდული ნაღდი ვალუტის ისევ მოსახლეობისათვის მიყიდვის მოთხოვნის უკანონობა, ბატონ კიკაბიძეს მოჰყავს „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის „თ" პუნქტის დებულება, რომლის თანახმადაც, კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ „ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან უცხოური ვალუტის შეძენა და მათთვის მისი მიყიდვა".

ამ დებულების მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება ეროვნული ბანკის №2/4 გადაწყვეტილებას, რადგან იგი არ გამორიცხავს კომერციული ბანკების მიერ ვალუტის მიყიდვას ორგანიზაციებისათვის, რაც ჩვეულებრივ, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ხორციელდება. რაც შეეხება მოსახლეობისაგან შესყიდულ ვალუტას, თუ ეს ვალუტა შესყიდულია უნაღდო ანგარიშსწორების წესით, რა თქმა უნდა, იგი შეიძლება მიჰყიდონ, როგორც მოსახლეობას, ისე ორგანიზაციებს, უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ეროვნული ბანკის შეზღუდვა კი ეხება მოსახლეობისაგან შეძენილ მხოლოდ ნაღდ ვალუტას, რომელიც, საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, ისევ ნაღდ ვალუტაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უნდა მოხმარდეს.

როგორც სავალუტო რეგულირების ორგანოს, ეროვნულ ბანკს არ შეეძლო და არც ჰქონდა უფლება, რეაგირება არ მოეხდინა ბოლო პერიოდში რესპუბლიკაში დამკვიდრებულ გაუმართლებელ ქმედებაზე, როდესაც კომერციული ბანკები მოსახლეობისგან იძენდნენ დიდი რაოდენობით ნაღდ ვალუტას და არ ყიდდნენ მათზე, რამაც ხელი შეუწყო რესპუბლიკაში ვალუტის შავი ბაზრის განვითარებას.

3. ბატონი კიკაბიძე კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებას კომერციული ბანკებისა და საბირჟო სტრუქტურების მიერ. ნაღდი ვალუტის უნაღდო ანგარიშსწორების წესით გაყიდვის შესახებ, რასაც ასაბუთებს ორი გარემოებით: ა) იგი წერს, რომ ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტები სავალდებულოა საბანკო დაწესებულებებისათვის და არა საბირჟო სტრუქტურებისათვის;

ვერ დავეთანხმები ბატონ კოლეგას, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, **რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ეროვნული ბანკი წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო რეგულირების ორგანოს. მისი გადაწყვეტილებაც ამ სფეროში ვრცელდება და სავალდებულოა შესასრულებლად როგორც ბანკებისთვის, ისე არასაბანკო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სავალუტო ოპერაციებს და მოქმედებენ ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე სავალუტო ოპერაციების წარმოების შესახებ.**

ბ) ბატონ კიკაბიძეს მოჰყავს „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონის 26-ე მუხლი, რომელიც ადგენს: „ბანკები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით. თუ ანგარიშსწორების რომელიმე ფორმა არ არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ, ისარგებლონ საერთაშორისო პრაქტიკით". რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მოქმედებს ყოფილი სსრ კავშირის სახბანკის 1991 წლის 24 მაისის ძირითადი დებულებები „სავალუტო ოპერაციების რეგულირების შესახებ" და იგი არ ითვალისწინებს ნაღდი ვალუტის გაყიდვას უნაღდო ანგარიშსწორების წესით, აღნიშნული ოპერაციები თავიდანვე იყო აკრძალული და ეროვნულმა ბანკმა თავისი გადაწყვეტილებით მხოლოდ აღკვეთა მოქმედი წესების დარღვევა, რაც შეეხება ბატონ კიკაბიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო პრაქტიკა არ კრძალავს ნაღდი ვალუტის გაყიდვას უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, არაკომპეტენტური განცხადებაა, რადგან, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მსგავსი ოპერაციები საერთოდ არ ტარდება და, რაღა თქმა უნდა, არ იქმნება ნორმატიული აქტი მისი აკრძალვის შესახებ.

4. განცხადებაში აღნიშნულია, რომ რამდენადაც „ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის კურსებს შორის 10-პროცენტიანი მარჟა არ განეკუთვნება ეკონომიკური ნორმატივების რიგს, ამიტომ, ეროვნულ ბანკს მისი დაწესების უფლება არ ჰქონდა.

ბატონ კიკაბიძეს უნდა შევახსენო, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, **როგორც ზემოთ განვმარტე, ეროვნული ბანკი არ აწესებს მხოლოდ ეკონომიკურ ნორმატივებს, არამედ იგი უფლებამოსილია დაუდგინოს ბანკებს საკომისიო გასამრჯელოს ზღვრული ოდენობა და სწორედ ამ უკანასკნელს წარმოადგენს მარჟა.**

ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის 1993 წლის 26 მარტის №2/4 გადაწყვეტილება კანონზომიერია და შეესაბამება რესპუბლიკაში მოქმედი საბანკო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამიტომ იგი სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც ბანკებისათვის, ისე ყველა იმ დაწესებულებისათვის, სადაც სავალუტო ოპერაციები ხორციელდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბატონ ნ. კიკაბიძის მოთხოვნა ეროვნული ბანკის გამგეობის № 2/4 გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საფუძველს მოკლებულია და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ იგი არ უნდა იქნეს გაზიარებული.

**ნათელა მოსიძე,**
**საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის იურიდიული სამსახურის უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.**

# გამყარდება კუპონების კურსი

**28 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის რომან გოცირიძის თავმჯდომარეობით გაიმართა მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური რეფორმის შტაბის რიგგარეშე სხდომა. მან განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების მიმოქცევაში შემოღებასთან დაკავშირებული პრობლემები.**

შტაბმა მოისმინა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები. აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს შეიმჩნევა გარკვეული წრეების მიერ კუპონების შეგნებულად დისკრედიტაციის მცდელობა, რასაც ხშირად პოლიტიკური სარჩული უდევს. არ სრულდება მინისტრთა კაბინეტის დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყველა სავაჭრო ობიექტი, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ვალდებულია სამამულო წარმოების საქონელი გაყიდოს მხოლოდ კუპონებზე.

შტაბმა დაუშვებლად ჩათვალა ასეთი ტენდენციების განვითარება და მიუთითა ვაჭრობის სამინისტროს, სამართალდამცავ ორგანოებს, საგადასახადო ინსპექციას და კონტროლის პალატას მკაცრი კონტროლი დააწესონ აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე. იმ პირების მიმართ, ვინც დაარღვევს აღნიშნული დადგენილების მოთხოვნებს, გატარდება მკაცრი ღონისძიებანი.

მიუხედავად არსებული სირთულეებისა, შტაბმა ვითარება მთლიანობაში დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დასახა დამატებითი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს კუპონის კურსის გამყარებას.

---

**დაახლოებით** ერთი თვის წინათ რუსეთის პრესამ გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ტყვარჩელის შახტებში ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტისა და მთავარი განიავების ვენტილატორების გაჩერების გამო შექმნილია მეთანის აფეთქებასაშიში სიტუაცია. ეს მოსაზრება გამოითქვა ამ ცოტა ხნის წინ სოჭში რუსეთ-საქართველოს სამთავრობო დელეგაციებს შორის მოლაპარაკების დროსაც. პირდაპირ ითქვა, რომ შახტებში მეთანის აფეთქებამ შეიძლება დააზიანოს ენგურჰესის კაშხალი და დასავლეთ საქართველოს წალეკვა დაემუქროს.

**მართლა ასეა?**

**კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს ალექსი მიქელაძეს.**

# აფეთქდება თუ არა ტყვარჩელის შახტები?

## ჩვენი კომენტარი

— პირველ რიგში, რამდენიმე ცნობა მეთანის და მისი ჰაერთან ნარევის აფეთქების თაობაზე.

მეთანის ალების ტემპერატურა აღწევს 650-750 გრადუსს ცელსიუსით. 5,3-15 პროცენტი მეთანის ჰაერთან კონცენტრაციის დროს ნარევი აფეთქებასაშიშია. თუ ატმოსფეროში მეთანთან ერთად არის სხვა აფეთქებასაშიში აირები (ნახშირორჟანგი, წყალბადი და სხვა) ან ნახშირის მტვერი, მაშინ აფეთქება შეიძლება მოხდეს მეთანის უფრო დაბალი — 2-3 პროცენტიანი შემცველობის დროსაც, და პირიქით, ჟანგბადის უკმარისობის პირობებში აფეთქებასაშიში შემცველობის დიაპაზონი მცირდება. კერძოდ, თუ ჰაერში ჟანგბადის შემცველობა არ აღემატება 15 პროცენტს, მეთანის ნებისმიერი კონცენტრაციის დროს აფეთქება არ მოხდება.

სპეციალისტებმა იციან, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ შახტში არ შეიქმნას მეთანის ალების ან აფეთქების საშიშროება, რა განსაკუთრებული რეჟიმი უნდა იქნას დაცული: გვირაბების უწყვეტი და ინტენსიური განიავება, დამუშავების ეფექტიანი ტექნოლოგიის გამოყენება, მეზობელი ფენებისა და ქანების დეგაზაცია, დამცავი ნივთიერებისა და აფეთქებაუსაფრთხო ელექტრო დანადგარების გამოყენება, გვირაბებში (ცეცხლის ან ნაპერწკლების გაჩენის მიზეზების აღკვეთა და სხვა.

ისიც ცნობილია, რომ შახტებში საექსპლოატაციო სამუშაოების შეწყვეტისას მეთანის გამოყოფის აბსოლუტური სიდიდე რამდენადმე მცირდება. მთავარი განიავების ვენტილატორის გაჩერების დროს კი მეთანის შემცველობა (კონცენტრაცია) შახტის ატმოსფეროში მკვეთრად იზრდება. გაზიან შახტებში აფეთქებასაშიში სიტუაცია შეიძლება შეიქმნას რამდენიმე წუთში — საწმენდ სანგრევებში, რამდენიმე მოგვიანებით — საუბნო გვირაბებში, ბოლოს კი — მაგისტრალურ გვირაბებში. ბოლოს და ბოლოს მეთანის შემცველობა შახტის ატმოსფეროში გადააჭარბებს 15-პროცენტიან ზღვარს, რის შემდეგაც გაუნიავებელ გარემოში მეთანის აფეთქების საშიშროება აღიკვეთება.

საომარი მოქმედების დაწყებამდე ტყვარჩელში მუშაობდა სამი შახტი, № 2-3, № 6 და № 8. პირველი ორი გაზის გამოყოფის მხრივ ზეკატეგორიის შახტებია, რომლებშიც დღე-ღამეში ერთ ტონა მოპოვებულ ნახშირზე გამოიყოფა 15 კუბურ მეტრზე მეტი მეთანი. № 8 შახტი საშიში შახტების კატეგორიას განეკუთვნება, აქ ერთ ტონა მოპოვებულ ნახშირზე გამოიყოფა 30 კუბური მეტრი მეთანი.

ყველასთვის ცხადია, რომ ტყვარჩელის შახტებში საწმენდი სანგრევებისა და საუბნო გვირაბების დაგაზიანება ხდებოდა მთავარი განიავების ვენტილატორების გაჩერებისთანავე. გამონაკლისია № 2-3 შახტი, სადაც წლების განმავლობაში ხდებოდა დეფორმირებული და ინტენსიურად დეგაზირებული ნახშირის დამუშავება, რის გამოც მეთანის გამოყოფის პროცესი განიავების შეწყვეტის გამო რამდენადმე ნელა წარიმართებოდა. ინტენსიურად დაგაზიანდებოდა აგრეთვე № 6 შახტის მაგისტრალური გვირაბები. ისიც უნდა ითქვას, რომ სავარაუდოა № 2-3 შახტში ბუნებრივი წევის გავლენის სფეროში მოხვედრილი მაგისტრალური გვირაბების ნაწილის განიავება. მეორე შახტის მაგისტრალური გვირაბები მათი განლაგების დონეებს შორის მნიშვნელოვანი (470 მ) სხვაობის გამო უნდა განიავდეს საკმაოდ ეფექტიან საშახტო ვენტილატორის გაჩერების შემდეგ ბუნებრივად ჩამოყალიბებული ჰაერის ნაკადის მეშვეობით, თუ მას ხელოვნურად არ გადაკეტავდნენ.

ზემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ტყვარჩელის შახტებში დაგაზიანებულ უბნებსა და გვირაბებში მეთანის ჰაერთან აფეთქებასაშიში კონცენტრაცია შეიქმნებოდა მთავარი განიავების ვენტილატორების გაჩერების პირველსავე წუთებში. შემდეგ მეთანის შემცველობა გადააჭარბებდა 15-პროცენტიან ზღვარს, რომლის დროსაც მეთანის ჰაერთან აფეთქება გამორიცხულია. არ არსებობს აგრეთვე შახტებში აფეთქების ინიცირების (ცეცხლის ან ნაპერწკლების გაჩენის) საფრთხეც. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად ტყვარჩელის შახტებში გამორიცხულია მეთანის ჰაერთან ნარევის ალების ან აფეთქების საშიშროება.

ყოვლად უსაფუძვლოა აგრეთვე განცხადება მეთანის აფეთქების შემდეგ მიწის ზედაპირზე განლაგებული ობიექტების, მათ შორის წყალსაცავების კაშხლების დაზიანების შესაძლებლობის შესახებ. ცნობილია, რომ ტყვარჩელის შახტების ექსპლუატაციის დროს ადგილი ჰქონდა მეთანის და ნახშირის მტვრის რამდენიმე მძლავრ აფეთქებას, რომლებმაც იმსხვერპლა ათობით მეშახტის სიცოცხლე. მაშინ დაინგრა მიწისქვეშა გვირაბები აფეთქების კერაში, მაგრამ ზედაპირზე განლაგებული ნაგებობები შახტის უშუალო სიახლოვესაც კი არ დაზიანებულა.

როგორ შეიძლება თავი დააღწიონ ტყვარჩელის შახტებში შექმნილ მდგომარეობას? პირველ რიგში უნდა აღდგეს შახტების ნორმალური განიავების რეჟიმი. ამისათვის, როგორც ზედაპირზე, ისე მიწისქვეშ საჭიროა განხორციელდეს არსებული სიტუაციის საიმედო დაზვერვა და შესწავლა, რომლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს საშიში მდგომარეობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა პაკეტი. მაგრამ ეს უკვე სპეციალისტების პროფესიული ინტერესების სფეროა და ყოველივე ამას დასჭირდება საკმაო დრო, დიდი მატერიალური, შრომითი და ფულადი დანახარჯები, რისი შესაძლებლობაც შეიძლება მხოლოდ ომის შეწყვეტის შემდეგ გამოჩნდეს.

ისიც უნდა ვთქვა, რომ პროვოკაციული განცხადებები შახტების აფეთქების შედეგად მოსალოდნელი კატასტროფის შესახებ სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის ცდა და შეფარული ჩანაფიქრი, რომლის მიზანია ჩვენს წინააღმდეგ მიმართული ცალკეული დივერსიული აქტების ჩვენთვისვე გადმობრალება.

---

# როცა მავანს რაღაც ესიზმრება!..

## ვითხოვ სიტყვას

**როგორც** ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის პუბლიკაციათა ციკლი — **„საქართველო აჭარიდან იწყება"**, რომელიც განვლილი ერთი თვის მანძილზე იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში — სწორედ ქართული სანაოსნოს, ქართული ფლოტის დღევანდელი ცხოვრებით, ქართველ მეზღვაურთა თავკაცთან — რომან ახობაძესთან ვრცელი საუბრით დავიწყეთ, სათაურით: **—ქართული ფლოტი: „აი, ვინ იქნება შავი ზღვის პატრონი!"** როგორც ხედავთ, ისეთი შევარჩიეთ, რომ არ შეიძლება თვალში არ მოხვედროდა ზოგიერთ ჩვენს ურწმუნო კოლეგას, რომელსაც რატომღაც სურს საქართველოს ეს ერთ-ერთი საიმედო, მუხლმაგარი კოლექტივი დღეს გაპარტახებულად თუ გაყიდულ-გაძარცვულად გამოაცხადოს. გაყიდულ-გაძარცვული ჩვენ იქ არაფერი გვინახავს, მაგრამ თანადგომა, მამულიშვილობა, რომელსაც დღევანდელი გაჭირვების ჟამს ქართველი მეზღვაურები და მათი ხელმძღვანელები იჩენენ მამულისათვის, მისი ძლიერების აღდგენა-დამკვიდრებისათვის კი ნამდვილად ვნახეთ და შევიგრძენით კიდეც. ეტყობა ეს არ აწყობს ზოგიერთს, თორემ აბა რა ქაღალდი აიტანდა იმ უსაგნო განცხადებებს, რომლითაც ისინი ავსებენ ჩვენს პერიოდულ პრესას თუ საპარლამენტო დარბაზებს.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის უფროსმა, შორეული ნაოსნობის კაპიტანმა რომან ახობაძემ მოგვმართა თხოვნით დაგვებეჭდა მისი წერილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

• • •

**ბატონო რედაქტორო!**

**თავს მოვალედ ვთვლი, თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო გაზეთ „რეზონანსს", რომლის ამა წლის 7 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს იყიდება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდები, დრომ, რომ წერტილი დაესვას ყველა იმ ჭორსა თუ მითქმა-მოთქმას, რომლებსაც ავრცელებენ არა მარტო „რეზონანსი", არამედ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებიც საზღვაო დეპარტამენტის მუშაობის შესახებ.**

**მოგეხსენებათ, საზღვაო თემა იმდენად სპეციფიკურია, რომ მასში გასათვითცნობიერებლად საჭიროა სპეციალური საზღვაო-კომერციული განათლება. აქ არ კმარა მარტო დეპუტატობა ან რომელიმე პარტიის წევრობა.**

**რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია პასუხი გასცე ყველა გაზეთსა თუ ჟურნალს, გთხოვთ, თქვენი ავტორიტეტული გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ ჩემი ოფიციალური პასუხი, რათა ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის ცნობილი გახდეს ის, თუ როგორ მუშაობს საქართველოს საზღვაო დეპარტამენტი.**

• • •

თუ რამდენად არ შეეფერება სიმართლეს გაზეთ „რეზონანსის" 7 აპრილის ნომერში დასტამბული ე. წ. „აჭარის ამბები", ამაზე პასუხს ალბათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება გასცემს. მე შევეხები იმ ინფორმაციას, უფრო სწორედ, — დეზინფორმაციას, რომელიც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ეხება. მსოფლიოში დამკვიდრებული კანონისა და წესის თანახმად, მე როგორც სანაოსნოს ოფიციალური ხელმძღვანელი მოვალე ვარ განვუმარტო როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ისე საზოგადოებრიობას შემდეგი:

მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკა დამოუკიდებელი გახდა, სანაოსნოს არც ერთი თავისი გემი არავისათვის არ მიუყიდია, მიუხედავად იმისა, რომ გემების ყიდვა-გაყიდვა ერთ-ერთი მიღებული და პროგრესული ფორმაა მსოფლიოს საზღვაო ბიზნესში, თქვენს მიერ მოხსენებული სამი სატვირთო გემი „იოსიპ ბროზ ტიტო", „ბოლშევიკ კამო" და „იუსუფ კობალიძე" არავის არ უყიდია, უბრალოდ შეიქმნა საქართველო-ინგლისის ერთობლივი საზღვაო კომპანია, რომელშიც იმუშავებენ ეს გემები. მათი ეკიპაჟები დაკომპლექტებულია ჩვენი მეზღვაურებით და მეთაურებით, ეს კომპანია მუშაობს იმავე პრინციპებით, როგორც დღეს მოქმედი სხვა ერთობლივი საწარმოები საქართველოს რესპუბლიკაში, თუნდაც ქ. თბილისში. სიახლეა მხოლოდ ის, რომ გემებს, რომლებსაც წინათ ერქვათ „იოსიპ ბროზ ტიტო" და „ბოლშევიკ კამო" ახალ საზღვაო კომპანიაში სახელები გადაერქვათ და დაერქვათ: „ქობულეთი" და „გონიო". რამდენიმე ჩვენი გემი მუშაობს აგრეთვე საქართველო-ინგლისის ერთობლივ „ანგლო-ჯორჯიან შიფინგ კომპანია"-ში, რომელიც ფუნქციონირებს 1991 წლის მაისიდან და ერთ-ერთი პირველი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და საქართველოში.

საბერძნეთთანაც გვაქვს ერთობლივი საზღვაო კომპანია „კაპა ჯესკო", რომელიც დაარსდა 1992 წელს. ასეთი კომპანიების შექმნა ხელს უწყობს არსებული მოძველებული ფლოტის ხარისხიან შეკეთებას, მათი საზღვაო კლასის აწევას და მომგებიან ძვირადღირებული ტვირთების გადაზიდვას საზღვარგარეთელთა მენეჯმენტისა და მოწინავე მეთოდების გამოყენებით. ამასთან, ერთობლივი საზღვაო კომპანიებისათვის გამოყოფილი კრედიტებით საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ექნება საშუალება შეისყიდოს ახალი გემები, რომლებიც მხოლოდ გააძლიერებენ და გააუმჯობესებენ ქართულ ფლოტს.

ამჟამად ჩვენ უკვე ვაფორმებთ დოკუმენტებს, რათა ბათუმისა და ნოვოროსიისკის პორტების ბაზაზე შევქმნათ საქართველო-რუსეთის ერთობლივი საზღვაო საწარმო, სადაც იმუშავებდნენ სამგზავრო ხომალდები და ამით საქართველოს საშუალება ექნება გახდეს არა მარტო სატვირთო გემების მფლობელი ქვეყანა, არამედ სამგზავრო-საკრუიზო ხომალდებისაც, რაც სამწუხაროდ, სანაოსნოს დაარსების დღიდან არ გაგვაჩნია. ეს მოკლედ, რაც ეხება გემების „გაყიდვას" ან „დაკარგვას".

ახლა ჩვენი მმართველობითი სტრუქტურის შესახებ: საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ახალი სახელწოდება — საქართველოს საზღვაო დეპარტამენტი, რომელიც როგორც ერთ-ერთი სტრუქტურა, შედის საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროში. ჩვენი საბაზო პორტი და შტაბბინა ტრადიციულად განლაგებულია ქ. ბათუმში. მე, რომან ახობაძე ვარ საზღვაო დეპარტამენტის უფროსი. ჩემთან ერთად საზღვაო სანაოსნოს მართავს დეპარტამენტთან არსებული საბჭო, სადაც შედიან ჩემი მოადგილეები და დეპარტამენტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

აქედან გამომდინარე, იმის მტკიცება, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მართავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება და, კერძოდ, რომელიმე პიროვნება აჭარის ხელმძღვანელობიდან, სიმართლეს მოკლებულია. ის, რომ ჩვენ ვმუშაობთ მჭიდრო კონტაქტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, არავისათვის გასაკვირი არ უნდა იყოს. ეს კონტაქტები ტრადიციულია და მათ სარგებლობის მეტი არაფერი მოაქვთ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ არაკომპეტენტურ პიროვნებასა და მათ უკან მდგარ ძალებს სურთ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს და მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტირება საქართველოს საზოგადოებრიობის თვალში. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის 29 მარტის მიმართვაში საქართველოს პარლამენტის მიმართ აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციიდან გამოსულია ისეთი მნიშვნელოვანი უწყებები, როგორიცაა საქართველოს საზღვაო სანაოსნო. ასეთივე შინაარსის განცხადებები არაერთხელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აქვთ გაკეთებული რესპუბლიკელთა პარტიის წევრს ქ. ბათუმში, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატს ნ. მგელაძეს და საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს, რესპუბლიკური პარტიის წევრებს: ბატონ დავით ბერძენიშვილს და თამაზ დიასამიძეს, მათვე ეკუთვნით აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნო კატასტროფის წინაშე დგას, რომ ჩვენ არა გვაქვს ხვალინდელი დღე და ასე შემდეგ, რაც სრულიად საფუძველმოკლებულია.

**დღეს საქართველოს თუ კიდევ შემორჩა რაიმე ეკონომიკურად ძლიერი სტრუქტურები, ერთ-ერთი მათგანი სწორედ საქართველოს საზღვაო დეპარტამენტია.** — მე ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით, როგორც მეზღვაური, კომერსანტი და საზღვაო დეპარტამენტის უფროსი. ქართველი მეზღვაურები როგორც ყოველთვის მუშაობენ დაუღალავად დღე და ღამე მსოფლიოს ყველა ზღვებსა და ოკეანეებში, რათა თავისი ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერი და დამოუკიდებელი გახადონ.

ასე რომ, ჩვენი თხოვნაა პრესისა თუ პოლიტიკური პარტიების მიმართ — ნუ გამოიყენებენ საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს და ქართველი მეზღვაურების სახელს თავიანთი ამბიციებისა და პოლიტიკური მიზნებისათვის. ეს არავის მოუტანს სიკეთეს.

რაც შეეხება სიმართლეს, მინდა გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და მივმართო ჟურნალისტებს: სანაოსნო ყოველთვის მზად არის მიიღოს ნებისმიერი გაზეთის წარმომადგენელი და ღრმად ჩაახედოს საზღვაო დეპარტამენტისა და მისი კოლექტივის საქმიანობაში.

ასე რომ, მობრძანდით, გელით!

---

# თუ „არდასანახს" დაინახავ... ანუ „ჩვენ გავაფრთხილეთ აფხაზები!"

**გაზეთმა** „იბერია-სპექტრმა" თავის 13-19 აპრილის ნომერში ქ. ბაქოში გამომავალ გაზეთ „ზერკალოდან" გადმობეჭდა საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრის ვიქტორ დომუხოვსკის ინტერვიუ.

პუბლიკაციას წინ უძღვის „იბერია-სპექტრის" მცირე სარედაქციო წინათქმა, საიდანაც ირკვევა, რომ ინტერვიუ ახლახან გამოქვეყნებულა. აქვე რედაქცია იმედს გამოთქვამს, „...ვფიქრობთ, იგი საინტერესოა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის"-ო.

ინტერვიუ მართლაც ფრიად საინტერესოა, განსაკუთრებით მისი ამგვარი პასაჟები:

„გამსახურდიას „დიქტატორობის" დროს საქართველოში 20-ზე მეტი ოპოზიციური გაზეთი გამოდიოდა, ამჟამად კი არცერთი არ გამოდის, ყველა დახურული ან განადგურებულია".

ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ისე დაგიმშვენდა ცხვირიო! „დახურული და განადგურებული" კი არა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს ოფიციოზზე, ხელისუფლების მხარდამჭერ გაზეთებზე მეტი ოპოზიციური გაზეთები გამოდის. ეს ფაქტია, ფაქტი კი ჯიუტი რამაა, რაც შეეხება „იმ დროის" გამომავალ „20-ზე მეტ ოპოზიციურ გაზეთს", მათი რიცხვი სინამდვილეში 2-3-ს არ აღემატებოდა.

„ჩვენ გავაფრთხილეთ აფხაზები, რომ ხუნტა მათ წინააღმდეგ ომის დაწყებას აპირებდა და ამ გაფრთხილების წყალობით აფხაზებმა „все же", შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა".

აი, ასე უნდა იქცეოდნენ ნამდვილი პატრიოტები და ჰუმანისტები! სუსტი, უპატრონო, დაჩაგრული აფხაზები რომ არ გაეფრთხილებინათ „ჩვენებს", საწყლები ხომ ვერ შესძლებდნენ წინააღმდეგობის „все же" გაწევას?! ხომ მოუწყობდნენ გენოციდს, ვთქვათ, გაგრაში?!

„გენერალმა გრაჩოვმა ამას წინათ თქვა, შევარდნაძის რეჟიმი ომს იწყება საკუთარი ხალხის წინააღმდეგო".

სხვა გაზეთებიდან

**საქართველო**

არის კიდევ რაიმე საეჭვო ამგვარი ომის ფაქტში?! ეს განცხადება ხომ ისეთ „პირუთვნელ, ობიექტურ, საქართველოსა და ქართველი ხალხის ისეთ მოყვარულ, გულშემატკივარ, კეთილისმყოფელ" პირს ეკუთვნის, როგორიც გენერალი გრაჩოვია!

„ჩვენ აფხაზებთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ჩვენი ხალხის დამსახურებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ აფხაზებმა უარი თქვეს სოხუმის აღებაზე".

ჩვენ „შტერებს" კი გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ ქალაქის დამცველთა გმირულმა, თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა აფხაზები „უარი ეთქვათ" სოხუმის აღებაზე!

არა მგონია, „იბერია-სპექტრს" ეს მართლაც საინტერესო პუბლიკაცია დომუხოვსკისა და ძმათა მისთა „პატრიოტული" სახის წარმოსაჩენად გადმოებეჭდოს. უბრალოდ, არსებულ ხელისუფლებას „დასცხო". მართალია, ამ დროს უფრო მეტად დომუხოვსკის და კომპანიას ხვდება („ჩვენ გავაფრთხილეთ აფხაზები..."), მაგრამ არის იმედი, რომ ერთგული, დამჯერი მკითხველი მხოლოდ იმას დაინახავს, რაც უნდა დაინახოს (ხელისუფლების მხილება, თუნდაც „მამხილებლის" როლში გენერალი გრაჩოვი გამოდიოდეს), და „სხვა რაღაცეებს" ყურადღებას არ მიაქცევს, არ დაინახავს...

სამწუხარო იქნება, თუ მართლა ასე მოხდება, თუ „იბერია—სპექტრის" მკითხველი ესოდენ ადვილად დასანახ „არდასანახს" არ დაინახავს...

**ფელიქს კოჭიაშვილი.**

## იოსებ ნონეშვილი–75

# „გვიყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე მეტად!“

**იოსებ ნონეშვილის საიუბილეო საღამოს შემდეგ (მწერალთა სასახლეში რომ გაიმართა) მოვდიოდი რუსთაველზე და გონებაში ნათლდებოდა თხუთმეტი წლის წინანდელი სურათი — ამავე პროსპექტზე ღიმილით მიმავალი პოეტი, ყველას რომ ესალმებოდა და უღიმოდა...**

იგი იყო ჭეშმარიტი მგოსანი საქართველოსი, თავისი ეპოქის უპოპულარესი მესიტყვე, ხალხის სიყვარულით მდიდარი. დაუვიწყარია ზღვა სიყვარული, რომელიც მას ქართველმა ერმა მიაგო უკანასკნელ გზასავალზე გაცილებისას — იოსებ ნონეშვილის გასვენების დღე სახალხო გლოვად იქცა.

მეცამეტე წელიწადია, რაც ეს ნათელი ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ მისი სახელი, მისი პოეზია ცოცხლობს და ადამიანებისათვის მოაქვს სიამე, თრთოლვა, სიხარული. მადლიერი ერის მონატრებაში რომ ცოცხლობს, ამის დასტურია მისი ხსოვნის უკვდავყოფის მრავალნაირი გამოვლენა — მშობლიურ სოფელ კარდანახში დაარსდა პოეტის სახლ-მუზეუმი. გადაიღეს პოეტისადმი მიძღვნილი ფილმი, თბილისში არის მისი სახელობის გამზირი, მისი სახელი ჰქვია ქუჩებს ბათუმში, თელავში, გურჯაანში... პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოიცა მისი რჩეული ორტომეული.

თხემით ტერფამდე ეროვნული პოეტის ხმას ოთხი ათეული წლის განმავლობაში ყურს უგდებდა ქართველი მკითხველი, მოუთმენლად, საჩუქარივით ელოდა ყოველი მისი ახალი ლექსის გამოჩენას, იზეპირებდა ჭაბუკთა გულისთქმას, რომელსაც მისთვის შვება, ნუგეში და სასოება მოჰქონდა...

იოსებ ნონეშვილის პოეზია ქართველი კაცის სიხარულის, წუხილისა და იმედების სხივით არის განათებული, თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ პოეტის გული მონაწური მჭიდრო კავშირში იყო დროის ცვლილებებთან, ერთგული, თანამედროვე და მხურვალე პატრიოტი საქართველოსი ყველა მოვლენას ეხმიანებოდა თავისი კალმით, გულგრილი ვერაფრის გამო ვერ იქნებოდა — ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა მუდამ.

სიცოცხლე იყო ის უშრეტი წყარო, რომელშიც პოვებდა იგი თავის თემებს. მისი პოეზიის თემატიკა კი ისევე მრავალფეროვანი და მდიდარია, როგორც თვით სიცოცხლე. ბევრი საუკეთესო ლექსია გამოსული მისი კალმიდან, ისეთნი, მარადიული სიცოცხლე რომ უწერიათ ხალხის ხსოვნაში და პოეზიის სასუფეველში.

ნონეშვილის ტკბილხმოვანი პოეზია ენასთან მუსიკალური მიმართების გამოვლენაა. იგი სმენის, მუსიკალური განწყობილების პოეტია, რომლისთვისაც რითმაა ლექსის აზრობრივი და ემოციური საყრდენი. მისი მელოდიური, ამღერებული, ნათელი ლექსები ერთი შეხედვით შეიძლება ზედმეტად უბრალოც მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს სულაც არ არის ასე — ამგვარი სისადავისა და გამჭვირვალების მიღწევა, შინაგანი ჰანგის პოვნა, მხოლოდ დაბადებით და მოწოდებით მგოსანს ძალუძს.

ენით გამოუთქმელ აღტაცებას იწვევდა იოსებ ნონეშვილის გამოჩენა ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე, მისეული განუმეორებელი ინტონაციით, ზეიმური შემართებით რომ კითხულობდა ლექსებს — ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა, სადღესასწაულო სპექტაკლი, რომელსაც ხალხის გულის მპყრობი მგალობელი მართავდა.

ერთი შეხედვით, ხალხის რჩეული და მისი სიყვარულით განებივრებული პოეტი, ლაღი და უდარდელი კაცი გეგონებოდათ, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო, და ამას მოწმობს ლექსი „მას ეძახიან ბედნიერ პოეტს“:

**ვით მსახიობი,**
**რამპის მკვეთრ შუქზე,**
**ისე გამოდის სახლიდან გარეთ.**
**რაგინდ სახმილი მოაწვეს**
**გულზე,**
**სახეზე წუხილს არ მიიკარებს.**
**მაგრამ როდესაც ეშვება ფარდა**
**და თავის თავთან სულ მარტოდ**
**რჩება,**

**გასცემს, მთელი დღე**
**რა ცეცხლი სწვავდა**
**ჩაღამებული თვალების სევდა.**

იგი მძიმე ცხოვრებაგამოვლილი კაცი იყო, იმდენი საშინელი შეასვა წუთისოფელმა მას ბავშვობასა და სიჭაბუკეში, რომ ზოგი მის ადგილზე ცხოვრების მიმართ ალბათ გაბოროტდებოდა. მაგრამ მის სულში სიმდაბლეს არასოდეს ჰქონია ბინა, ბავშვის წრფელი და უშურველი გულით იარა ბოლომდე. ყველას დამხმარე და ნუგეშისმცემელი იყო, საოცარ ამბებს ჰყვებიან მის უანგარობასა და სიკეთეზე: „ვფიქრობ, არ მოიძებნება სხვა მეორე მწერალი, იშვიათად თუ იქნება საერთოდ სხვა მეორე კაცი, რომელსაც იოსებივით მუდმივად სჭეროდეს ხელში ტელეფონის ყურმილი სხვათა დასახმარებლად. არა მგონია, იმდენი ბარათი დაეწეროს ვინმეს სხვათა სასიკეთოდ, რამდენიც იოსებს დაუწერია“ (ალექსანდრე ბეგაშვილი).

„გვიყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე მეტად!“ — ასეთია იოსებ ნონეშვილის, შემოქმედისა და პიროვნების, მოწოდება თანამედროვეთადმი. სამშობლო წარმოადგენდა მისთვის უმაღლეს ჭეშმარიტებას და როცა მას ძალიან უჭირდა, იგი ერთგულ ჭირისუფლად ედგა გვერდში, ხმას იმაღლებდა მაღადობის წინააღმდეგ. 1978 წელს, როცა ენას გვართმევდნენ და ყველამ ერთად გადადო თავი — სტუდენტობამ, ინტელიგენციამ, მუშებმა, — იოსებ ნონეშვილი ერთი იმათგანი იყო, ვინც ამ მოვლენით სულშეძრული თავისი ლექსებით ილაშქრებდა ბოროტების დასათრგუნად. 1978 წლის დასაწყისში, როცა მიმდინარეობდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა, იოსებ ნონეშვილმა დაწერა ალეგორიული ლექსი „ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი“, მაგრამ აქ სათაური შირმაა მხოლოდ:

**„რაგინდ კარგი იყოს,**
**მე სხვას არ ვინდომებ,**
**რაგინდ კარგი იყოს,**
**სხვას არ ვინატრებდი...**
**ჩემგან მამა-პაპის**
**სულს ნუ გამიდევნი,**
**ღმერთო**
**დამიტოვე**
**ენა წინაპრების“**
**ღმერთო,**
**ჩემი ხალხი**
**ვის რას ედავება,**
**ნატრობს ბედნიერი**
**იყოს ყველა ერი...**
**ღმერთო,**
**ნუ წაართმევ**
**ჩემს ხალხს**
**დედა ენას,**
**ჭკვიანად ყველა ენა**
**არის შენსმიერი“.**

...იოსებ ნონეშვილი რომ მოსწრებოდა სიმებგაწყვეტილ ჩონგურს, აწინდელ ბზარშეპარულ საქართველოს, შეძრული და გულატკენილი იქნებოდა, მისი ქნარი და ხმა ეროვნული ერთიანობის დამკვიდრებას იქადაგებდა, ტრიბუნი-მგოსანი კვლავ ჩვეული სახმილით გააფიცხებდა ქართველთა გულებს — „გვიყვარდეს საქართველო სიცოცხლეზე მეტად!“

**გიორგი ლალიაშვილი.**

---

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

## ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

### კავშირი კავშირგაბმულობით იწყება

**ახლახან** რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს ეწვია ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობის დროებითი რწმუნებული საქართველოში ბატონი **ფარიდუნ ხაუბინი.**

— როგორც ცნობილია — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ბატონმა **ფ. ხაუბინმა** — ა. წ. 20 იანვარს თეირანში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულებათა პაკეტი საქართველოს რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობებს შორის. ამ ხელშეკრულებათა რეალიზაციისათვის უპირველესად აუცილებელია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარება კავშირგაბმულობისა და ტელეკომუნიკაციების დარგში. ირანის მთავრობის დავალებით ხელი უნდა შევუწყოთ თეირანში დადებულ ხელშეკრულებათა რეალიზაციას... კავშირგაბმულობის სამინისტროს როლი კი ძალზე დიდია ამ დროს...

აი, რა თქვა ორ ქვეყანას შორის კავშირგაბმულობის დარგში თანამშრომლობის შესახებ კავშირგაბმულობის მინისტრმა ბატონმა **ფრიდონ ინჯიამ:**

— ჩვენი აზრით, აუცილებელია შავი ზღვის გავლით გაყვანილი თურქეთის მინაბოჭკოვანი ოპტიკური კავშირის გამოყენება;

უნდა შეიქმნას ექსპრეს-ფოსტისა და საფაქსო სამსახურები და გაფართოვდეს თანამშრომლობა საფოსტო კოდური სისტემებისა და საერთაშორისო საფოსტო ანგარიშსწორების დარგში. ძალზე საშური საქმეა, რომ ირანში მცხოვრებმა ქართველმა მიიღოს საქართველოს ტელეგადაცემები. გარდა ამისა, ჩვენ მზად ვართ მოვამზადოთ ირანელი სტუდენტები ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში;

ირანის მთავრობა დაინტერესებულია არსებული კავშირების სრულყოფისა და კავშირგაბმულობის სხვადასხვა სახის სატელეკომუნიკაციო აპარატურის წარმოების მიზნით კიდევ უფრო განვითარდეს ტექნოლოგიური თანამშრომლობა. ამისთვის კი აუცილებელია უმოკლეს ხანში ინფორმაციისა და ექსპერტების გაცვლა.

ირანის მხარემ გამოთქვა სურვილი დაბეჭდოს საქართველოს საფოსტო ნიშნები. იგი მხარს დაუჭერს, აგრეთვე საქართველოს გაწევრიანებას სამხრეთ-დასავლეთ აზიის საფოსტო კავშირში.

### ექიმთა პროტესტი

**აფხაზ სეპარატისტთა მიერ წამოწყებულმა ავანტიურამ უაღრესად საშიში მასშტაბი შეიძინა. განსაკუთრებით მძიმე ზიანი განიცადეს სამკურნალო პროფილაქტიკურმა დაწესებულებებმა. დაინგრა ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, ქალაქის დერმატოვენეროლოგიური დისპანსერი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიურო. შიდსის სადიაგნოსტიკო სპეციალიზებული ლაბორატორია, გამოყვანილია მწყობრიდან ქალაქის სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგური.**

**დაბომბვის შედეგად დაიღუპა ხუთი და დაიჭრა 15 ადამიანი. დაღუპულთა შორის ერთი ექიმია.**

**28 აპრილს დაიბომბა ბაზრის ტერიტორია, რის შედეგადაც დაიღუპა 4 და დაიჭრა 21 მშვიდობიანი მოქალაქე.**

**ქართველი ექიმები მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ ამ ფაქტებთან დაკავშირებით. სამედიცინო დაწესებულებების ხელყოფა მთელ მსოფლიოში ითვლება მიუღებლად ომის პირობებშიც. კიდევ ერთხელ მივმართავთ გუმისთას იქეთა კოლეგებს — ხმა აღიმაღლონ უმსგავსოების წინააღმდეგ.**

**ჯანმრთელობის სამინისტროს პრესცენტრი**

### აუქციონზე მილიონები დატრიალდა

**საბაზრო** ეკონომიკის გზაზე შემდგარი ქვეყანა ეკონომიკის ახალი კანონებით ცხოვრობს.

იქმნება სავალუტო ბირჟები, მიმდინარეობს მიწის რეფორმა, ახლა კიდევ — აუქციონი.

— პირველი, პირველად, — ასე განვსაზღვრავთ ხშირად ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ ღირსსახსოვარ მოვლენებს, — თქვა თავის გამოსვლაში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გორისა და გორის რაიონის განყოფილების უფროსმა მარლენ მემინოშვილმა, — ჩვენი დღევანდელი ღონისძიებაც, ამ თვალსაზრისით, პირველია.

აუქციონმა რამდენიმე საათს გასტანა.

ამ დღეს ბენზინის სადგურების მეპატრონენი გახდნენ გორის ნავთობბაზის თანამშრომელი გურამ მერაბიშვილი, ფირმა „ფოლადი-92“ (დირექტორი გიორგი ბერუაშვილი), შინდისის საზოგადოებრივი მეურნეობის არენდატორი ვაჟა ხუციშვილი, მრავალდარგოვანი ფირმა „საპოვნელა“ (დირექტორი ოდალი გოდერძიშვილი), პედაგოგი ანზორ ლობჟანიძე და სხვები.

აუქციონზე შემოსულმა თანხამ 20 მილიონ კუპონს გადააჭარბა.

**გურამ ვაშაკიძე.**

### პროგნოზი თავდაყირა

— **კი ვახარეთ** მკითხველს,— უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსმა **ჯემალ დოლიძემ,** — რომ „ნასესხების“ შემდეგ დათბებოდა, მაგრამ რა გასაკვირია, რომ ჩვენს არეულ დროში ხანდისხან ამინდის პროგნოზიც რომ აირიოს. გასული კვირის სიცივეებს ის მოჰყვა, რომ 23 აპრილს წაყინვები აღინიშნა გურჯაანში, ახმეტაში, თელავში, ყვარელსა და წნორში, რაც ამ პერიოდისათვის, ანუ აპრილის ბოლოს, არასდროს ყოფილა, თუმცა შიდა ქართლსა და გარე კახეთში ნულს ქვემოთ ტემპერატურის დაცემა ხშირად აღინიშნულა. განსაკუთრებული მოვლენაა ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ტემპერატურა ნულ გრადუსამდე დაეცა.

რაც შეეხება პროგნოზს უახლოეს დღეებში, ცივი ჰაერის შემოსვლა დროდადრო ისევ მოსალოდნელია. ამიტომ მნიშვნელოვნად არ გამოიდარებს, კვლავ იწვიმებს, ტემპერატურა 15-17 გრადუსის ფარგლებში იქნება.

## ჩოგანი

### დაწინაურდა „ვესტა“

**სპორტკომპლექს** „იმედში“ დაიწყო მინი-ფეხბურთში საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის სუპერფინალური მატჩების სერია, რომელიც ორ მოგებამდე მიმდინარეობს.

„ვესტასა“ და „ვაკის“ შეხვედრაში ეს უკანასკნელი ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის — გოდერძი ნატროშვილის გარეშე ასპარეზობდა, რომელიც ორი გაფრთხილების გამო ვერ გამოვიდა მოედანზე, ამან კი მის თანაგუნდელთა შეტევებს სიმწვავე მოააკლო. რაც შეეხება „ვესტას“, სასტარტო ხუთეულმა ფინალურ სასტვენამდე შეუცვლელად იბრძოლა, მწვავე კონტრშეტევებზე ააგო დუელი და დასახელებულ ტურნირზე ზედიზედ მესამედ სძლია მეტოქეს — 5:3.

დღეს 12 საათზე (და ვაკელთა წარმატების შემთხვევაში —30, აპრილს) მოწინააღმდეგენი კვლავ დადგებიან ერთმანეთის პირისპირ.

იქვე მოეწყო გათამაშების მესამე ადგილის მაძიებლების — „ქორეგისა“ და „ერქვანის“ პირველი მატჩი. „ერქვანს“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნამ ცუდი სამსახური გაუწია და დამარცხდა — 5:7.

### „რასაცა გასცემ“...

**200-მდე** მონაწილე რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის 3 ქალი — ასეთი გახლდათ მონარდეთა მორიგი ეროვნული ჩემპიონატის წარმომადგენლობითი შემადგენლობა.

სპორტულ ნარდში, ისევე როგორც შარშან, ბადალი არ ჰყავდა ნუგზარ გუგულაშვილს. გრძელ ნარდში ყველას აჯობა იური ვანციანმა, დიმიტრი გოგოლაძე საუკეთესო იყო ქართულ ნარდში.

აღსანიშნავია ზოგიერთი მონარდის კეთილშობილური საქციელი, რომლებმაც მოპოვებული ფულადი ჯილდოების ნაწილი საქართველოს თავდაცვის ფონდში ჩარიცხეს.

---

# გარდაიცვალა პარიზის უხუცესი მოქალაქე

**...მას 14 აპრილს დაბადებიდან 108 წელი შეუსრულდა და სულ რამდენიმე დღეში სამუდამოდ განგვშორდა: პარიზში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ღირსეული წარმომადგენელი ქალბატონი სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი.**

როცა ქალბატონი სოფიო 100 წლის გახდა, პარიზის მერმა ჟაკ შირაკმა საგანგებოდ დამზადებული მედალი და დიპლომი მიართვა საფრანგეთის დედაქალაქის უხუცეს მოქალაქე ქართველ მანდილოსანს.

სოფიო ჩიჯავაძის მეუღლე სპირიდონ კედია (1884-1948) გახლდათ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი უცვლელი ლიდერი 1917 წლიდან პარიზში გარდაცვალებამდე (1948 წელი). მაღალი რანგის ინტელიგენტი, დიდად განათლებული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი სპირიდონ კედია თითქმის 30 წელი უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის იდეებზე ამოზრდილ ეროვნულ-დემოკრატთა პარტიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ რეზო გაბაშვილი, ალექსანდრე ასათიანი, ივანე ზურაბიშვილი, ელისე პატარიძე... პარიზში იგი სცემდა ჟურნალ-გაზეთებს („სამშობლოსათვის“, „საქართველოს გუშაგი“). წერდა შესანიშნავ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებს. ამ მხრივ პირდაპირ კლასიკურია მისი ნარკვევი „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს აზრის სიღრმით, სტილის ბრწყინვალებით, თხრობის ექსპრესიულობით...

ქალბატონი სოფიო პირველად 1989 წელს გავიცანი პარიზში ყოფნის დროს და შემდეგ ყოველთვის ვნახულობდი იქ ჩასვლისას, მხიბლავდა მისი სათნო, მაგრამ შინაგანად მკაცრი და ასკეტური სახე და წყნარი საუბარი, ნათლად ვხედავდი, რომ ცხოვრების გრძელ და ათასგვარი განსაცდელით სავსე გზას ვერ გაეტეხა, ვერ მოედრიკა მისი ამაყი სული! იოსებ გრიშაშვილმა თავისი საუკეთესო ლირიკული ლექსები ხომ თავის დროზე სწორედ სოფიო ჩიჯავაძის მშვენიერებას უძღვნა! თბილისის ქალთა გიმნაზიის დირექტორი და საუკეთესო მოწაფეთა აღმზრდელი ჩემთან საუბრებში იგონებდა საქართველოში გატარებულ წლებს, იგონებდა ნიკო ცხვედაძეს (მეგობრობდა მის ქალიშვილთან), ივანე ჯავახიშვილს, თბილისის უნივერსიტეტს... მიჩვენებდა საუკეთესო კალიგრაფიული ხელით გადაწერილ მისი „მოგონებების“ წიგნს, რომლის გამოცემას ნატრობდა... მას თავს ევლებოდა ერთადერთი ასული თეონა და წლების სიმძიმეს უმსუბუქებდა.

...ლევილის ქართველთა სასაფლაოზე სპირიდონ კედიას გვერდით ახლადგათხრილი სამარე მიიბარებს მის უერთგულეს მეუღლეს და მეგობარს, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის თავდადებულ ქართველ პატრიოტ ქალს სოფიო ჩიჯავაძე-კედიას...

**გურამ შარაძე.**

**პარიზში 108 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ემიგრაციის უხუცესი წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარის სპირიდონ კედიას მეუღლე ქალბატონი სოფიო ჩიჯავაძე-კედიასი.**

**სამწუხაროდ, ახალი თაობის ეროვნულ-დემოკრატები არ იცნობდნენ ამ სათნო ქალბატონს, რომელიც მუდამ გვერდში ედგა მეუღლეს და მთელი თავისი ცხოვრება საქართველოზე ფიქრში გაატარა.**

**მსოფლიოს ყველა კუთხეში მიმოფანტული ეროვნულ-დემოკრატები სევდანარევი სიხარულით გაიხსენებენ მასთან ერთად გატარებულ წლებს საქართველოსა თუ უცხოეთში, იგრძნობენ იმ დანაკლისის სიმძიმეს, რომელიც ქართულმა ემიგრაციამ განიცადა.**

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მწუხარებით ხრის თავს ქალბატონი სოფიოს ხსოვნის წინაშე და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

---

**საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველო დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 28 აპრილს ქალაქ ოჩამჩირეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გმირულად დაიღუპა მთავარი სამმართველოს თანამშრომელი, ზემდეგი**

**გიორგი ნოდარის ძე თარხნიშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.**

სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ ზემდეგი გიორგი ნოდარის ძე თარხნიშვილი სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის წარდგენილია „ღირსების ორდენზე“.

**საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველო.**

---



ევროპის გაერთიანების ტექნიკური დახმარების საკოორდინაციო ბიურო საქართველოში
და თბილისის მენეჯერთა სკოლა

ეკონომიკის, მართვის, ბიზნესისა და სამართლის სპეციალისტებს, რომელთაც აქვთ გამოცდილება ან სურვილი იმუშაონ საქართველოს შესაბამისი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებად (შეიძლება შეთავსებითაც).
პროგრამა ითვალისწინებს:

- ორთვიან მომზადებას თბილისის მენეჯერთა სკოლაში და
- სამთვიან სტაჟირებას ევროპის გაერთიანების ქვეყნების ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტსა ან ბიზნესის სკოლაში სხვადასხვა ფირმებში პრაქტიკის გავლასთან ერთად.

კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან 40 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც თავისუფლად ფლობენ ინგლისურ ენას.

- მონაწილეთა მგზავრობისა და მათი სტაჟირების თანხებს გაიღებს ევროპის გაერთიანება.

განცხადებები მიიღება ა.წ. 8 მაისამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის მენეჯერთა სკოლას.
მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი N40.
ტელეფონები: 39-11-30, 39-34-61, 39-44-57,

## საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელსა და სტუდენტს!

**1998 წლის** 22 მაისს ბაკურციხის კომერციული ინსტიტუტი და საქართველოს კვების მრეწველობის ინსტიტუტი გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში ატარებენ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას.

**იმუშავებს ორი სექცია:**

1. ეკონომიკის სექცია (თავმჯდომარე პროფ. ვ. ეზიაშვილი);
2. საინჟინრო-ტექნოლოგიური სექცია (თავმჯდომარე პროფ. რ. გაზიაძე).

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ რესპუბლიკის ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს. მათ უნდა წარმოადგინონ თეზისები 3 გვერდამდე მოცულობის, 15 მაისამდე.

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. განაწილდება 2 — პირველი, 2 — მეორე და 2 — მესამე პრემია.

---

# კანონი საუკეთესო იარაღია

**შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება სამოქალაქო სამართლის ნორმების გარეშე. ამ ფუნდამენტური იურიდიული დისციპლინის როლი დღითიდღე მნიშვნელოვნად იზრდება, მას ახლებური მიდგომა და მიღებული გამოცდილებით შევსება სჭირდება, ეს პასუხსაგები მისია კი მეცნიერებასთან ერთად პრაქტიკოსებსაც ეკისრებათ. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის სამოქალაქო და საარბიტრაჟო საქმეებზე მიღებული სასამართლო აქტების კანონიერებისადმი ზედამხედველობის სამმართველოს უფროსთან, ქალბატონ მანანა ქურდაძესთან.**

**— საკავშირო პროკურატურასთან ყოველგვარი კავშირი გაწყდა, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათად, ადრე ქართველი კაცი სამართალს იქ ეძებდა. ახლა კი სამოქალაქო საქმეებზე საბოლოო სიტყვა თქვენს სამმართველოს ეკუთვნის, ეს უთუოდ დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. რა მიგაჩნიათ სამოქალაქო სამართალწარმოებაში კანონების შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების აუცილებელ პირობად?**

— რასაკვირველია, დამოუკიდებლობა მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ჩვენგან მეტ კვალიფიკაციასა და შეუმცდარობას მოითხოვს. სამმართველოს უმთავრესი ამოცანაა სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას უზრუნველყოს და დაიცვას მოქალაქეების, ასევე ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესები და უფლებები. ამ მიმართებით სასამართლოებსა და საარბიტრაჟო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას პროკურორის მონაწილეობით ხელი შეუწყოს ნებისმიერ საქმეზე კანონიერი, დასაბუთებული აქტების გამოტანას, სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტიანად გამოიყენოს სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებები. ამ პასუხსაგები ფუნქციის შესრულებას კი კვალიფიციური კადრები, მათი ცოდნისა და გამოცდილების მობილიზება სჭირდება. ამიტომაც, განზრახული გვაქვს ქალაქისა და რაიონის პროკურორებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა, პერიოდულად რესპუბლიკის პროკურატურაში მათი სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლება.

**— რესპუბლიკის პროკურატურაში შემოსულ საჩივართა უმეტესობა თქვენს სამმართველოზე მოდის, რამ განაპირობა სამოქალაქო საჩივართა ასეთი სიუხვე?**

— საბინაო, სამემკვიდრეო, განქორწინების, მამად ცნობის, შრომისა და ქონებრივი საკითხები ჩვენი საზოგადოების ყოველდღიური, ცხოვრებისეული საკითხებია და მის გარშემო აღძრული საჩივრები პროკურატურას არასდროს დაკლებია. მათი რიცხვის ზრდის მიზეზი კი წარსულშიც და ახლაც, ძირითადად ერთია: ადგილებზე არ იღებენ კანონიერ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. არადა, კანონის თანახმად, რაიონისა და ქალაქის პროკურორები ვალდებული არიან, საკასაციო ვადებში შეამოწმონ სამოქალაქო დავის გამო მიღებული სასამართლო აქტების კანონიერება, მატერიალური და საპროცესო ნორმების დარღვევის შემთხვევაში კი (რაც სასამართლოს აქტების მიღების საფუძველს წარმოადგენს) სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში შეიტანონ საკასაციო პროტესტი, რაც ხშირად არ კეთდება, ეს კი მხარეთა საკასაციო საჩივრის საფუძველზე სასამართლო აქტების გაუქმებას იწვევს. ხშირად მხარეები მოგვიანებით იგებენ, რომ დარღვეული უფლებების აღდგენა საკასაციო ვადის გასვლის შემდეგაც შეიძლება.

ამრიგად, რესპუბლიკის პროკურატურაში თავს იყრის უამრავი საჩივარი და მოქალაქის დარღვეული უფლებების აღდგენაც მოგვიანებით, მათი დროისა და ჯანმრთელობის ფასად ხდება.

**— ცხოვრება მანქანაა, რომელსაც ფული მართავსო, — ნათქვამია, ინფლაციამ ეს მანქანა მეტნაკლებად დაამუხრუჭა და ალბათ, ხელი შეუწყო ახალ-ახალი დავების წარმოქმნასაც. კერძოდ, რა კატეგორიის საჩივრებმა იმატა?**

— საგრძნობლად იმატა დავებმა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. გამყიდველი, რომელსაც ყიდვა-გაყიდვა სანოტარო წესით არ ჰქონდა გაფორმებული, ახლა თავს არიდებს ერთი-ორი წლის წინათ ფაქტობრივად გაყიდული სახლის „ქაღალდზე გაყიდვას“, რადგან დღეს უფრო მეტის მოგება შეუძლია, მყიდველი კი იჩაგრება, ბინის დაკარგვა და მასში გადახდილი თანხის დაბრუნება მისთვის არახელსაყრელია, თუ მხარეთა შორის გარიგება უბრალო წერილობითი ფორმითაც კი არ დასტურდება, ამგვარი შემთხვევები სამართალდამცველ ორგანოებს პრობლემის წინაშე აყენებს, ამიტომ, მოქალაქეებმა საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვისას მეტი წინდახედულება უნდა გამოიჩინონ და დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 238, 239 მუხლებში გათვალისწინებული მოთხოვნები.

**— სამწუხაროდ, კანონმდებელს ყოველთვის უპირისპირდება კანონის დამრღვევი, გამონაკლისი ალბათ, არც პრივატიზების კანონი იქნება. არსებობს თუ არა მისი გამრუდების თავიდან აცილების გზა?**

— ჩემი აზრით, ბინების პრივატიზების (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება უპირველესად, უნდა დაიცვან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლები. სამწუხაროდ, პრაქტიკაში უკვე გვხვდება შემთხვევები, როცა გამგეობები ბინას უსასყიდლოდ (?!) გადასცემენ ისეთ მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან არც დამქირავებლები და არც მათი ოჯახის წევრები. არადა, კანონში შავით თეთრზე წერია: „საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან“.

მაგალითად, ვაკის რაიონში ერთოთახიანი კომუნალური ბინის ძირითადი დამქირავებლის ლ. სტუჟინსკაიას გარდაცვალების შემდეგ ბინა სხვაგან მცხოვრებმა მისმა შვილიშვილმა დაიკავა. იმჟამინდელმა ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და ბინის უკანონოდ დამკავებელი გამოსახლეს. მოგვიანებით, ვაკის რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით ლ. სტუჟინსკაიას შვილიშვილს კომუნალური ერთოთახიანი ბინის ყიდვის უფლება მიეცა. ფაქტობრივად, მოხდა პრივატიზება. სტუჟინსკაიამ ბინა სხვა მოქალაქეს მიყიდა და ერთმა უკანონობამ წარმოშვა მეორე, რასაც გამგეობამ შეუწყო ხელი.

ანალოგიურია ი. მაზმანიდის შემთხვევაც. გლდანის რაიონის გამგეობამ ჯერ სარჩელი აღძრა ბინის ფართობზე უფლებადაკარგულად (ცნობის შესახებ) და 1992 წლის 29 ივნისს სასამართლომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო ამავე წლის 23 ივლისს იგივე გამგეობის მიერ ი. მაზმანიდის სახელზე ამ ბინის პრივატიზება განხორციელდა.

თუ ეს პროცესები კანონის დაცვით არ განვითარდა, სამართალდამცავ ორგანოებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით მოქალაქეებსაც ბევრი თავსატეხი გაუჩნდებათ.

**— დღეს, როცა ახალი ოჯახების შექმნა გართულებულია, ხოლო ძველი ოჯახების ნგრევა კი გაიოლებული, თქვენი აზრით, მის შეჩერებაში სამართალდამცავ ორგანოებს რა წვლილის შეტანა შეუძლიათ?**

— სამწუხაროდ, გახშირდა ერთ-ორწლიანი ქორწინების შემდგომი განხეთქილებები, რაც მოუფიქრებელი დაქორწინების შედეგია. სასამართლოში განცხადების შეტანის შემდეგ ცოლ-ქმარს მოფიქრების ექვსთვიანი ვადა ეძლევა. ადრე ხშირად საქმე გვქონდა ფიქციურ ქორწინება-განქორწინებასთან, რასაც საფუძვლად ედო ბინის შენარჩუნება. დღეს ეს პრობლემა აღარ არის. ჩემი აზრით, თუ განქორწინების საქმე სრულყოფილ მასალებზე დაყრდნობით, კრიტიკული მიდგომით განიხილება, გამოირიცხება ფიქციურობაც, აჩქარებაც და ოჯახის დანგრევაც.

**— და ბოლოს, რას ეტყოდით მომჩივანთა იმ მრავალრიცხოვან არმიას, რომელსაც თითქმის სამი ათეული წელია შესაშური მოთმინებით უსმენთ?**

— სამოქალაქო საქმემ საოცარი გატაცება იცის მოსარჩელესაც და მოპასუხესაც, რომელთაც ცალ-ცალკე თავი ცამდე მართალი ჰგონია, გამარჯვების ჟინი იპყრობს. წლების მანძილზე დაუცხრომელ ბრძოლას კი თან ახლავს ერთმანეთის შეურაცხყოფა, დაუძინებელი მტრობა... გაუფრთხილდით ერთმანეთის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სამოქალაქო საქმეში მხოლოდ კანონია ის იარაღი, რითაც „მოწინააღმდეგეზე“ გამარჯვება შეიძლება.

ესაუბრა
**ლეილა კოშკაძე.**

---

2 თვე ჩვენთან სწავლა და....

თქვენ შეგეძლებათ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებთან (ფაქსი, ტელექსი) და კომპიუტერთან ურთიერთობა, საქმიანი საუბარი და წერილების შედგენა ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული),
წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა, მომსვლელთა სწორად მიღება, სატელეფონო საუბრის სწორად წარმართვა და სწორად ჩაცმაც კი.

თქვენ
გახდებით პროფესიონალი მდივან-რეფერენტი
რაც საშუალებას მოგცემთ იმუშაოთ ერთობლივ საწარმოებში, სააქციონერო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, კომერციულ ბანკებში.
სწავლა დაიწყება 3 მაისს
მეცადინეობები ჩატარდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, საღამოს საათებში.
დაგვიკავშირდით ტელეფონით: 39-27-62
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40
თბილისის მენეჯერთა სკოლა
სასწავლო-საკონსულტაციო ფირმა ამბა

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ბ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 60434